აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა

ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო სტრუქტურების მიერ 2020 წელს გატარებული ღონისძიებების შესახებ

2021 წელი

სარჩევი

ზოგადი მიმოხილვა 3
ცხრილი N 1 აფხაზეთიდან იგპ-თა რაოდენობა და ხვედრითი წილი რეგიონების მიხედვით 2021 წლის 1 იანვრისათვის 3
დიაგრამა N 1 აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხვედრითი წილი განსახლების სახის მიხედვით 2021 წლის 1 იანვრისათვის 3
ცხრილი N 2 აფხაზეთიდან იგპ-თა რაოდენობის შედარება 2020-2019 წ.წ. რეგიონების მიხედვით 4
დიაგრამა N 2 აფხაზეთიდან იგპ-თა რაოდენობის ზრდის დინამიკა 2020-2019 წ.წ. რეგიონების მიხედვით 4
ცხრილი N 3 სოციალურად დაუცველ (მ.შ. სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი) იგპ-თა რაოდენობა რეგიონების მიხედვით 5
ცხრილი N 4 საკუთრებაში გადაცემული ფართები რეგიონების მიხედვით 2021 წლის 1 იანვრისათვის 5
ცხრილი N 5 აფხაზეთის საბიუჯეტო ორგანიზაციების მონაცემები შრომის შესახებ. 2020 წ. 6
სოციალური სფერო 12
ჯანდაცვა 12
განათლება, კულტურა, სპორტი 20
ეკონომიკის სფერო 22
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი 23
დიაგრამა N 3 რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების საერთო მოცულობაში შემოსავლების ხვედრითი წილები სახეების მიხედვით. 2020 წ. 24
ცხრილი N 6 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შედეგები. 2020 24
ბიზნეს სექტორი 25
პროდუქციის ბრუნვა და გამოშვება 26
ქონების მართვა და პრივატიზება 26
აფხაზეთის ა/რ მთავრობის 100%-იანი წილით შექმნილი სამედიცინო დაწესებულებების მართვა 27
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ სახელმწიფო წილით დაფუძნებული საწარმოების ფუნქციონირების შედეგები 28
ცხრილი N 7 შპს-ების ფინანსური მაჩვენებლები. 2020 წ. 28
ცხრილი N 8 შპს-ების ფინანსური მაჩვენებლების შედარება 2020წ.-2019წ, ... 28
დიაგრამა N 4 შპს-ების შემოსავლები. 2020წ. 28
ცხრილი N 9 შპს-ების შემოსავლები სახეების მიხედვით. 2020 წ. 29
ცხრილი N 10 შპს-ების ბენეფიციართა რაოდენობის შედარება 2020წ.-2019წ, ... 29
სსიპ ,,აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სტაჟირების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი ბიზნეს-ინკუბატორი“ 29
აგრარული სფერო 30
გეოლოგია 45

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია 2020 წლის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებებისაგან მიღებული მასალების საფუძველზე. ანგარიში განსახილველად წარედგინება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

ზოგადი მიმოხილვა

2021 წლის 1 იანვრისათვის, აფხაზეთის ა/რ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამინისტროს მონაცემებით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განსახლებულ აფხაზეთიდან იგპ-თა საერთო რაოდენობა შეადგენდა 249 448-ს.

ცხრილი N 1 აფხაზეთიდან იგპ-თა რაოდენობა და ხვედრითი წილი რეგიონების მიხედვით 2021 წლის 1 იანვრისათვის

N	რეგიონი	რაოდენობა, პირი	ხვ. წილი,%	კოლექტიური ცენტრი
1	2	3	4	5
1	***სულ საქართველოში***	***249448***	***100***	***518***
2	**სულ აღმოსავლეთ საქართველოში**	**122930**	**49,3**	**136**
3	ქ. თბილისი	105905	42,5	103
4	ქვემო ქართლი	10087	4,0	12
5	შიდა ქართლი	2395	1,0	13
6	მცხეთა-მთიანეთი	963	0,4	1
7	კახეთი	1314	0,5	5
8	სამცხე-ჯავახეთი	2266	0,9	2
9	**სულ დასავლეთ საქართველოში**	**126518**	**50,7**	**382**
10	სამეგრელო-ზემო სვანეთი	89977	36,1	308
11	აჭარა	7519	3,0	-
12	იმერეთი	27706	11,1	65
13	რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	752	0,3	9
14	გურია	564	0,2	-

კომპაქტურად ჩასახლებული იყო 19 655 (7,9%), ხოლო კერძო სექტორში – 229 793 პირი (92,1%). 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით კომპაქტურად განსახლებულ იგპ-თა რაოდენობა შემცირდა 5 531 პირით ანუ 28%-ით, ხოლო კერძო სექტორში განსახლებულ იგპ-თა რაოდენობა გაიზარდა 7 944 პირით ანუ 3,6%-ით.

დიაგრამა N 1 აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხვედრითი წილი განსახლების სახის მიხედვით 2021 წლის 1 იანვრისათვის



2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით იგპ-თა საერთო რაოდენობა გაიზარდა 2 413 პირით ანუ 1,0%-ით.

ცხრილი N 2 აფხაზეთიდან იგპ-თა რაოდენობის შედარება 2020-2019 წ.წ. რეგიონების მიხედვით

N	რეგიონი	2020 წელი	2019 წელი	+/-
1	2	3	4	5
1	***სულ საქართველოში***	***249448***	***247035***	***2413***
2	**სულ აღმოსავლეთ საქართველოში**	**122930**	**121171**	**1759**
3	ქ. თბილისი	105905	104600	1305
4	ქვემო ქართლი	10087	9841	246
5	შიდა ქართლი	2395	2324	71
6	მცხეთა-მთიანეთი	963	908	55
7	კახეთი	1314	1246	68
8	სამცხე-ჯავახეთი	2266	2252	14
9	**სულ დასავლეთ საქართველოში**	**126518**	**125864**	**654**
10	სამეგრელო-ზემო სვანეთი	89977	89800	177
11	აჭარა	7519	7420	99
12	იმერეთი	27706	27359	347
13	რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	752	759	-7
14	გურია	564	526	38

დიაგრამა N 2 აფხაზეთიდან იგპ-თა რაოდენობის ზრდის დინამიკა 2020-2019 წ.წ. რეგიონების მიხედვით



2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აფხაზეთიდან იგპ-თა შორის სოციალურად დაუცველი იყო სულ 42 993 პირი, მათ შორის სიღარიბის ზღვარს მიღმა - 13 642. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით სოციალურად დაუცველთა რაოდენობა გაიზარდა 536 პირით, ხოლო სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფთა რაოდენობა შემცირდა 16 412 პირით.

ცხრილი N 3 სოციალურად დაუცველ (მ.შ. სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი) იგპ-თა რაოდენობა რეგიონების მიხედვით

N	რეგიონი	სოციალურად დაუცველი	მ.შ. სიღარიბის ზღვარს მიღმა
1	2	3	4
1	***სულ საქართველოში***	***42993***	***13642***
2	**სულ აღმოსავლეთ საქართველოში**	**19180**	**6468**
3	ქ. თბილისი	15705	5343
4	ქვემო ქართლი	2031	697
5	შიდა ქართლი	534	180
6	მცხეთა-მთიანეთი	120	31
7	კახეთი	304	89
8	სამცხე-ჯავახეთი	486	128
9	**სულ დასავლეთ საქართველოში**	**23813**	**7174**
10	სამეგრელო-ზემო სვანეთი	16934	5422
11	აჭარა	1022	305
12	იმერეთი	5473	1366
13	რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	253	49
14	გურია	131	32

საცხოვრებელი ფართი კერძო საკუთრებაში დაუმტკიცდა სულ 22 869 ოჯახს (63 439 პირი).

ცხრილი N 4 საკუთრებაში გადაცემული ფართები რეგიონების მიხედვით 2021 წლის 1 იანვრისათვის

N	რეგიონი	ოჯახების რაოდენობა, პირი	ოჯახებში დევნილთა რაოდენობა
1	2	3	4
1	***სულ საქართველოში***	***22869***	***63439***
2	**სულ აღმოსავლეთ საქართველოში**	**14928**	**38368**
3	ქ. თბილისი	12698	33819
4	ქვემო ქართლი	981	2629
5	შიდა ქართლი	452	-
6	მცხეთა-მთიანეთი	176	473
7	კახეთი	114	311
8	სამცხე-ჯავახეთი	507	1136
9	**სულ დასავლეთ საქართველოში**	**7941**	**25071**
10	სამეგრელო-ზემო სვანეთი	3815	10890
11	აჭარა	951	2895
12	იმერეთი	3168	11266
13	რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	7	20
14	გურია	-	-

2020 წელს აფხაზეთის ა/რ მთავრობის დაქვემდებარებაში იყო 58 საბიუჯეტო ორგანიზაცია, რომელთაგან 27 ფინანსდებოდა აფხაზეთის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან, 31 – საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ცხრილი N 5 აფხაზეთის საბიუჯეტო ორგანიზაციების მონაცემები შრომის შესახებ. 2020 წ.

დაფინანსება	დასაქმებული პერსონალი	დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება	საშ. თვ. შრომის ანაზღ.
	კაცი	ათასი ლარი	ლარი
აფხაზეთის რესპ. ბიუჯეტიდან	1069	12298,8	960,7
საქართველოს ბიუჯეტიდან	1230	12447,2	843,3
სულ	***2299***	***24746,1***	***897,0***

საანგარიშო პერიოდში იგპ-თა სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაციის მიზნით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და მისდამი დაქვემდებარებული სამინისტროებისა და უწყებების მიერ ქ. თბილისსა და რეგიონებში გატარდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები. ***აფხაზეთის ა/რ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამინისტროს*** მიერ განხორციელდა შემდეგი პროგრამები:

- **დევნილთა საცხოვრებლებში მცირე ფასიანი სარემონტო სამუშაოების უზრუნველყოფის პროგრამა**

ლარი

მთავრობის წარმომადგენლობებისა და სამინისტროს ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები	პროგრამის ჯამური ფინანსური *რესურსი* *(შიდა რესურსის მობილიზების შედეგად)*	ათვისებული თანხა
23 000	27 100	26 656,86

მცირე და გადაუდებელი სახის სარემონტო სამუშაო ჩაუტარდა დევნილთა ჩასახლების 26 ობიექტს (1471 ოჯახი).

- **დევნილთა ჩასახლების ობიექტებში სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფის პროგრამა**

ლარი

ფინანსური რესურსი	ათვისებული თანხა
80 000	78 379,29

სარემონტო-აღდგენითი სამუშაო ჩაუტარდა დევნილთა ჩასახლების 6 ობიექტს (144 ოჯახი).

- **აფხაზეთიდან დევნილთათვის მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ ობიექტებზე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შექმნის ხელშეწყობის პროგრამა**

ლარი

ბიუჯეტით გამოყოფილი ფინანსური რესურსი	ათვისებული თანხა
4 900	1 750,94

დაფინანსდა ბინათმესაკუთრეთა 38 ამხანაგობის შექმნის სანოტარო მომსახურება.

- **დევნილთა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამა**

ლარი

მთავრობის წარმომადგენლობებისა და სამინისტროს ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები *(პროგრამაში მობილიზებული ჯამური ფინანსური რესურსი)*	ათვისებული თანხა	მთავრობის წარმომადგენლობების მიერ იანვარ-თებერვალში ათვისებული თანხა
660 000	659 850	121 850

ერთჯერადი ფინანსური სახის დახმარება გაეწია 4 416 განმცხადებელს.

კატეგორია	ბენეფიციართა რაოდენობა	თანხა, ლარი
მეორე მსოფლიო ომის მონაწილე	8	1 200
მკვეთრად გამოხატული შშმ პირი	688	103 200
მარჩენალდაკარგული	519	77 850
დედ-მამით ობოლი არასრულწლოვანი	12	1 800
ოთხი და მეტ არასრულწ.ოჯახი	264	39 600
100 წელს გადაცილებული მოქალაქე	13	1 950
ბავშვობიდან ინვ. და უნარშეზღ. ბავშვი	503	75 450
სხვა მძიმე სოც.მდგომარეობაში მყოფი ოჯახი	2 409	358 950
ს უ ლ	**4 416**	**660 000**

- **დევნილთა კანონიერი უფლებების დაცვა და მათი სამართლებრივი მხარდაჭერა**
  - იურიდიული დახმარება გაეწია 315 დევნილს;
  - მომზადდა სარჩელის, განცხადების, შუამდგომლობის პროექტები;
  - გასვლითი ღონისძიებების ფარგლებში მოსახლეობას დაურიგდა საინფორმაციო შინაარსის ბუკლეტები, რომლებშიც ასახული იყო ბიუჯეტით დაფინანსებული პროგრამები.
- **სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა**

2020 წელს სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეულ იქნა 144 წვევამდელი. გაწვევიდან გადავადების მოსაკრებელი (2 000 ლარი) გადაიხადა 9 წვევამდელმა (სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის 90% ირიცხება

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო 10% - რესპუბლიკურ ბიუჯეტში), ხოლო ალტერნატიულ სამხედრო სავალდებულო სამსახურში - 1 წვევამდელი.

- **მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენა ან/და ფოტოიდენტურობის დადასტურება**

შემოსული განცხადებების რაოდენობა	დადებითი დასკვნა	უარყოფითი დასკვნა	შეჩერებული წარმოება	ადმინისტრაც. წარმოება
258	213	37	2	6

- **პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღების ხელშეწყობა**

განცხადებების რაოდენობა	დადებითი გადაწყვეტილება	უარყოფითი გადაწყვეტილება (გამოუცხადებლობის გამო)
46	40	6

ასევე, აფხაზეთის ა/რ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამინისტროს მიერ საანგარიშო პერიოდში:

- განხორციელდა დევნილი მოსახლეობის ინფორმირება დაბა აბასთუმანში მდებარე ,,ფილტვის ცენტრში'' დასვენების შესახებ;
- განხორციელდა ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსული 800-მდე პირის საკარანტინე სივრცეებში ტრანსპორტირება, ხოლო საკარანტინე ვადის გასვლის შემდგომ მათი საცხოვრებელ მუნიციპალიტეტებში გადაყვანის ორგანიზება (ჯამური ღირებულება 12 000 ლარი);
- დარიგდა 9 100 სასურსათო კალათა და 4877 სააღდგომო ნობათი (ბენეფიციარები - კომპაქტური ჩასახლების ობიექტებში მცხოვრები 70 წელს გადაცილებულ დევნილი პირები, ასევე, სხვა კატეგორიის ბენეფიციარები (მრავალშვილიანი ოჯახები, ომის ვეტერანები, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახები და ა.შ.);
- შობა-ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით დარიგდა 3 380 სასაჩუქრე პაკეტი 3-დან 8 წლამდე ასაკის სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი (30 000-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულა) სოციალურად დაუცველ ოჯახებში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი ბავშვებისათვის;
- მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით დევნილთა ჩასახლებებში ჩატარდა სადეზინფექციო სამუშაოები;
- დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებში დამონტაჟდა 120 ერთეული ხელის სადეზინფექციო დისპენსერი (გადაეცათ სადეზინფექციო ხსნარი). სამინისტროს მონაწილეობა გულისხმობდა დევნილთა კომპაქტური ჩასახლებების ობიექტებისათვის ხელის სადიზინფექციო დისპენსერებისა და ერთჯერადად სადიზინფექციო ხსნარის შეძენასა (5 490 ლარი) და დევნილთათვის (ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა, ჩასახლების წარმომადგენელი) გადაცემას მათ საცხოვრებელ შენობებში (სულ 65 ობიექტი) დამონტაჟების მიზნით.

იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის მიერ საანგარიშო პერიოდში:

- დევნილთა სოციალური დაცვისა და მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტზე ჩატარებული სამართლებრივი ექსპერტიზების შედეგად, უზრუნველყოფილ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2020 წლის 23 იანვრის N4 დადგენილების გამოქვეყნება ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე. აღნიშნული დოკუმენტით რეგულირდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან დევნილ მოქალაქეებზე (ოჯახებზე) ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა;
- შემუშავდა „საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უძრავი ქონების დეკლარირებისა და აღრიცხვის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 აგვისტოს N400 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს აფხაზეთის ა/რ მთავრობის, როგორც ლეგიტიმური ხელისუფლების როლის ამაღლებასა და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე დევნილთა და სხვა (პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტების მქონე) პირთა ქონებრივი უფლებების დაცვის კუთხით საკანონმდებლო ბაზის დახვეწას, აფხაზეთის ა/რ მთავრობის უფლებამოსილი ორგანოების ჩართულობით აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უძრავი ქონების დეკლარირებისა და აღრიცხვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების წარმატებით განხორციელებას;
- გაიმართა შეხვედრა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან, სადაც გადაწყდა თანამშრომლობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მცხოვრებ დევნილთა სხვადასხვა პრობლემატურ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით;
- გაწეულ იქნა მნიშვნელოვანი საქმიანობა ისეთ საკითხებზე, როგორიც არის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების დაფუძნება, დაფუძნების პროცედურები, თავმჯდომარის არჩევის წესი, უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აღნიშნული მიმართულებით შედგა საქმიანი შეხვედრები და სამართლებრივი კონსულტაციები გაეწია ქ. ბათუმში, ქ. ზუგდიდში, ქ. წყალტუბოში, ქ. ფოთში და ქ. ბორჯომში მცხოვრებ დევნილ მოქალაქეებს.

საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე, სოციალურ ქსელებსა და რუსულენოვანი მედიის მიერ გამოქვეყნებულ მასალებზე დაყრდნობით ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენებისა და ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ ინფორმაციის მოძიება და დამუშავება. მომზადდა სტატიები, რომლებიც ეყრდნობოდა ღია წყაროებს და მასში ასახულ იქნა ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაფიქსირებული ადამიანის უფლებების ისეთი უხეში დარღვევები, როგორიც არის სიცოცხლის უფლების ხელყოფა, უკანონო დაკავებები, თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა, საკუთრების უფლების ხელყოფა, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების შეზღუდვა და სხვა. აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ბავშვთა უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით ღია წყაროებში არსებული ინფორმაციის გარდა, მოძიებულ იქნა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები აფხაზი ეროვნების ადამიანების მიერ მოწოდებული ინფორმაციებიც. გარდა ამისა, მოძიებულ და დამუშავებულ იქნა სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

- აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ქართველთა უძრავი ქონების გაყიდვის საკითხი;
- აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ე.წ. ახალი პასპორტის მიღებისა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე და მოქალაქეობის არმქონე პირებზე საცხოვრებელი და კომერციული უძრავი ქონების გასხვისებასთან დაკავშირებული საკითხები;
- აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ აბიტურიენტთათვის რუსეთში განათლების მიღების საკითხი;
- აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ნავთობისა და გაზის მოსაპოვებლად ლიცენზიის გაცემისა და ბინადრობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული საკითხები.

ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმისა და აფხაზეთის ა/რ ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების გათვალისწინებით, მინისტრის აპარატის ერთ-ერთ პრიორიტეტულ საქმიანობად განსაზღვრული იყო სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით აფხაზეთის ა/რ აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის კოორდინაცია, რომელსაც მინისტრის აპარატი ახორციელებდა გრძელვადიანი პროგრამით „სამშვიდობო ინიციატივები, სამოქალაქო ინტეგრაცია, ნდობის აღდგენის მხარდაჭერა და დიალოგისკენ მიმართული შესაძლებლობების გაძლიერება“. პროგრამა შედგება რამდენიმე ქვეპროგრამისაგან:

- *ქვეპროგრამის „ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების ჩართულობა ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის, აფხაზეთის დღისადმი მიძღვნილი კვირეული“* ფარგლებში:
  - ა(ა)იპ ,,ჯადოსნურ ხმებ“-თან ერთად ჩატარდა ღონისძიება „პანდემია და წარმატებული საქართველო“;
  - წინანდალში განხორციელდა პროექტი ,,სამშვიდობო გზავნილი“, რომლის მიზანი იყო ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობის შესახებ;
  - ქ. ფოთში გაიმართა ღონისძიება ,,ჩართულობა ნდობის აღდგენისა და შერიგებისთვის - შავი ზღვის არტ-პლენერი „მარინისტები“. პროექტი მიზნად ისახავდა აფხაზეთელი მხატვრების პოპულარიზაციას, მარინისტი მხატვრების შემოქმედებითი ურთიერთობების გაღრმავებასა და განვითარებას, ხელოვანთა დახმარებით ქართულ-აფხაზური ურთიერთობების წახალისებას. ღონისძიებამ ხელი შეუწყო აფხაზეთის თემატიკაზე მომუშავე ხელოვანების პოპულარიზაციას შავი ზღვის რეგიონში. საქართველოში დაფუძნდა ყოველწლიური შავი ზღვის არტ-პლენერი, სადაც შეიქმნა მხატვრული ნამუშევრები, გაღრმავდა ურთიერთობები ,,მარინისტ“ მხატვრებს შორის;
  - შპს „კრეარტივი“/“creARTive”-თან პარტნიორობით მარტვილში (სალხინო) ჩატარდა ღონისძიება სახელწოდებით „სალხინოს კამერატა კამერული მუსიკის ფესტივალი“. ღონისძიება მოიცავდა 2 საკონცერტო საღამოსა და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ მხატვართა ნამუშევრების ორდღიან გამოფენა-გაყიდვას. ფესტივალის მეორე დღე „ქართული სიმღერის დღე“ - 27 სექტემბერი - სოხუმში გმირულად დაღუპულ ქართველთა ხსოვნას მიეძღვნა.
- *ქვეპროგრამის „მშვიდობის ლაბორატორია, ნდობის აღდგენისა და შერიგების რესურსები“ ფარგლებში* განხორციელდა:
  - ეთნიკურად აფხაზ ხელოვანთა მიერ შექმნილი სრულმეტრაჟიანი ფილმის პრეზენტაცია;
  - ბორჯომში გაიმართა შეხვედრა-ტრენინგი აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის შესახებ;

- საერთაშორისო პროექტი ,,დიასპორები ერთიანი საქართველოსთვის, სახალხო დიპლომატიის როლი ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში". პროექტის განხორციელების ლოკაციები იყო ამსტერდამი, ჰააგა (ნიდერლანდების სამეფო), ბრიუსელი, ბელგია;
- ჟურნალისტებისთვის გამოცხადდა ონლაინ კონკურსი სახელწოდებით ,,ენგურს იქით სანაპირო". ჟიურის მიერ გამოვლინდა 8 საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევრის ავტორი, რომელთაც გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები და სერთიფიკატები, ხოლო ჟურნალისტებს, რომლებიც წლების მანძილზე აქტიურად მუშაობდნენ აფხაზეთთან დაკავშირებულ საკითხებზე და განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით აღნიშნული თემის ინტენსიურად გაშუქებაში, გადაეცათ სპეციალური სახელობითი ჯილდოები;
- ჩატარდა ონლაინ-კონკურსი მხატვრებისთვის "აფხაზეთი ფერებში". კონკურსის მიზანი იყო აფხაზეთის თემატიკაზე შესრულებული ფერწერული ნამუშევრების წარმოდგენა. მონაწილეობა მიიღო 27 ხელოვანმა და შემოვიდა 31 ნამუშევარი, რომელთაგან გამოვლინდა 10 საუკეთესო. ასევე კონკურსის ფარგლებში დაიბეჭდა კატალოგი, რომელშიც შევიდა გამარჯვებულებისა და მონაწილეების ფერწერული ნამუშევრები;
- ფოთსა და ზუგდიდში განხორციელდა პროექტები „ჯანსაღი ცხოვრების წესი და ბუნებაზე ზრუნვა - ჩვენი არჩევანია";
- *ქვეპროგრამის „დიასპორების ჩართულობა ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესებში"* ფარგლებში მინისტრის აპარატსა და ფონდს "დიასპორების ალიანსი საქართველოსთვის" შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით, შეიქმნა ონლაინ გაკვეთილების პლატფორმა "გაკვეთილები საზღვრების გარეშე", რომლის მიზანი იყო ახალგაზრდული ხიდების მშენებლობა საქართველოში მყოფ ქართველ ახალგაზრდებსა და ემიგრაციაში მყოფ ქართველ თანატოლებს შორის. პროექტში „გაკვეთილები საზღვრების გარეშე" წარმოდგენილი იყო ონლაინ გაკვეთილების 2 მიმართულება - შემეცნებით-გასართობი და კალიგრაფიის ონლან გაკვეთილები, რომლებსაც საქართველოში მყოფი ქართველი პედაგოგები უძღვებოდნენ.
- *ქვეპროგრამის ,,თემატური გზავნილები სამშვიდობო, ევროპულ და ევროატლანტიკურ საკითხებში" ფარგლებში* ჩატარდა ფოტოკონკურსი სახელწოდებით ,,საერთო ტრადიციებით საერთო მომავლისკენ", რომლის მიზანი იყო საკონკურსო თემების ერთი კადრით გადმოცემა, ე.წ. „მესიჯ ბოქსებად" გარდაქმნა და ენგურს მიღმა დარჩენილი ჩვენი თანამოქალაქეებისთვის გაგზავნა. მოეწყო 10 საუკეთესო ფოტონამუშევრის გამოფენა.

გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები შემდეგ ორგანიზაციებთან:

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- ა(ა)იპ „საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი";
- ა(ა)იპ „იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია თანხმობა";
- ა(ა)იპ „ჯადოსნური ხმები";
- ა(ა)იპ „სულიერების ცენტრი";
- აფხაზეთის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატა;
- საქართველოს მხატვართა კავშირი;
- დიასპორების ალიანსი საქართველოსთვის;
- შპს „კრეარტივი" / "creARTive";
- სსიპ ,,კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სააგენტო".

ახალი კორონავირუსის COVID-19 გავრცელებასთან დაკავშირებით ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობოდან გამომდინარე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო სტრუქტურებს მოუხდა სერიოზული კორექტივების შეტანა მუშაობის დღის წესრიგში. თანამშრომლების ნაწილი გადაყვანილ იქნა მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე.

შემუშავდა კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების გეგმა. სამუშაო ფართებზე ჩატარდა რეკომენდირებული სადეზინფექციო სამუშაოები, თანამშრომლები უზრუნველყოფილ იყვნენ სპეციალური სადეზინფექციო საშუალებებით, პირბადეებით და ხელთათმანებით. შემოღებულ იქნა თანამშრომელთა ყოველდღიური თერმოსკრინინგი.

კომპანია „კარფურის“ თანადგომით აღნიშნულ პერიოდში დახამარება გაეწია მარჩენალდაკარგულის სოციალური სტატუსის მქონე 25 არასრულწლოვან ბავშვს. ასევე, სამშენებლო კომპანია „ფანი დეველოპმენტის“ პარტნიორობით, სხვადასხვა სოციალური კრიტერიუმების გათვალისწინებით(ომის ვეტერანი, სოციალურად დაუცველი დაა სხვა) დახმარება გაეწია 20 ოჯახს.

სოციალური სფერო

ჯანდაცვა

2020 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, აფხაზეთის მოსახლეობისათვის სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამების მიღმა არსებული სადიაგნოსტიკო-სამკურნალო სერვისის ცალკეული სახეების ხელმისაწვდომობის მიზნით, ბიუჯეტის ფარგლებში, ახორციელებდა სხვადასხვა მიზნობრივ პროგრამებს.

- *აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებ მოქალაქეთა ამბულატორიული დახმარების პროგრამა*

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 490 000,0 ლარს. წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად ბიუჯეტი განისაზღვრა 388 232,0 ლარით.

პროგრამის ბიუჯეტი, ლარი	ბენეფიციართა რაოდენობა	ანაზღაურებული თანხა, ლარი	შესრულება
388 232,0	1768	369 744,76	95,3%

პროგრამა მოიცავდა 8 კომპონენტს:

- *<u>კომპიუტერული ტომოგრაფიული გამოკვლევის კომპონენტი</u>*

მიმართული იყო რთულ შემთხვევებში დიაგნოზის ვერიფიცირებისათვის. ითვალისწინებდა გამოკვლევას კომპიუტერულ ტომოგრაფზე კონტრასტით, რომლის სკანერი არანაკლებ 128 შრიანი სისტემაა. განხორციელდა შპს ,,ნიუ ჰოსპიტალსში“.

ბიუჯეტი, ლარი	ბენეფიციართა რაოდენობა	ეპიზოდი	ანაზღაურებული თანხა, ლარი	შესრულება
56 470,0	243	350	56 470,0	100%

- *<u>ბირთვული მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიული მომსახურების კომპონენტი</u>*

ითვალისწინებდა განსაკუთრებით რთულ და საეჭვო კლინიკურ შემთხვევებში პაციენტის მაღალეფექტური, სპეციალიზირებული დიაგნოსტირების პროცესის მეშვეობით დიაგნოზის ვერიფიკაციას. პროგრამა მოიცავდა გამოკვლევის ჩატარებას

ნარკოზისა და კონტრასტის გარეშე, ანგიოგრაფიით და ნარკოზით ბირთვულ მაგნიტურ-რეზონანსულ ტომოგრაფზე, რომლის მაგნიტური ველის ინდუქტივობა არანაკლებ 3 ტესლაა. განხორციელდა შპს ,,კავკასიის მედიცინის ცენტრში".

ბიუჯეტი	ბენეფიციართა რაოდენობა	ეპიზოდი	ანაზღაურებული თანხა, ლარი	შესრულება
207 650,0	648	736	190 170,0	92%

➢ *<u>ინსტრუმენტული გამოკვლევების კომპონენტი</u>*

ითვალისწინებდა თავის ტვინისა და ქვედა კიდურების დოპლეროგრაფიას, ციფრულ რენტგენოგრაფიას, ელექტროენცეფალოგრაფიას, ართროექოსკოპიას, ულტრაბგერით დენსიტომეტრიას, აუდიოგრამას. განხორციელდა შპს ,,ავერსის კლინიკაში".

ბიუჯეტი	ბენეფიციართა რაოდენობა	ეპიზოდი	ანაზღაურებული თანხა, ლარი	შესრულება
20 800,0	293	377	20 800,0	100%

➢ *<u>ენდოსკოპიური გამოკვლევის კომპონენტი</u>*

ითვალისწინებდა ეზოფაგოდუოდენოსკოპიას, კოლპოსკოპიას, კოლონოსკოპიას. განხორციელდა სს ,,ერისთავის სახ. ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნულ ცენტრში".

ბიუჯეტი	ბენეფიციართა რაოდენობა	ეპიზოდი	ანაზღაურებული თანხა, ლარი	შესრულება
18 877,0	154	172	18 855,76	99,9%

➢ *<u>სარეაბილიტაციო მკურნალობის კომპონენტი</u>*

ითვალისწინებდა ექიმ-რეაბილიტოლოგის კონსულტაციას და საჭიროების მიხედვით - ფიზიკურ თერაპია (მასაჟი, ვარჯიში), აპარატურულ ფიზიოთერაპია და ჰიდროკინეზოთერაპია. განხორციელდა თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტში.

ბიუჯეტი	ბენეფიციართა რაოდენობა	ეპიზოდი	ანაზღაურებული თანხა, ლარი	შესრულება
27 720,0	110	2310	27 720,0	100%

➢ *<u>სისხლის მიმოქცევის სისტემის სკრინინგული გამოკვლევების კომპონენტი</u>*

ითვალისწინებდა ექიმ-კარდიოლოგის კონსულტაციას და ექოკარდიოგრაფიას, სრული ლიპიდური სპექტრის განსაზღვრას, 24-საათიანი ეკგ მონიტორინგს და ფიზიკური დატვირთვის სინჯს-პრედმილს. განხორციელდა შპს ,,ნიუ ჰოსპიტალსში".

ბიუჯეტი	ბენეფიციართა რაოდენობა	ეპიზოდი	ანაზღაურებული თანხა, ლარი	შესრულება
25 850,0	255	553	24 864,0	96%

- *<u>აბილიტაციის კომპონენტი</u>*

მიზანს წარმოადგენდა მენტალური განვითარების დარღვევის მქონე ბავშვთა მაქსიმალური სოციალური ადაპტაცია და საზოგადოების დამოუკიდებელ და აქტიურ წევრად ჩამოყალიბების შესაძლებლობის ფორმირება. ელექტრონული ტენდერის შედეგად გაიმარჯვა ააიპ ,,სარეაბილიტაციო და სოციალური ადაპტაციის ცენტრმა აისი". ითვალისწინებდა ექიმი-ნევროლოგის კონსულტაციას და საჭიროების მიხედვით - ოკუპაციური თერაპია, მეტყველების თერაპია, ფსიქოთერაპია და ქცევით თერაპია. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 40 000,0 ლარს. ქვეყანაში არსებული პანდემიის გამო პროგრამის განხორციელება დაიწყო ივლისის თვიდან. ახალი კორონავირუსის გავრცელების სტატისტიკა და ის გარემოება, რომ პროგრამის ბენეფიციარები იყვნენ რისკის მატარებელი აღნიშნული ინფექციის მიმართ, ჩაითვალა შემაფერხებელ ფაქტორად პროგრამის განხორციელებისათვის. რის გამოც შევიდა ცვლილება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ააიპ „სარეაბილიტაციო და სოციალური ადაპტაციის ცენტრს" შორის გაფორმებულ N73 30.03.20 ხელშეკრულებაში. შედეგად პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 24 065,0 ლარით.

ბიუჯეტი	ბენეფიციართა რაოდენობა	ეპიზოდი	ანაზღაურებული თანხა, ლარი	შესრულება
24 065,0	45	945	24 065,0	100%

- *<u>კომპიუტერული ტომოგრაფიული გამოკვლევები დასავლეთ საქართველოს რეგიონში</u>*

ტენდერის შედეგად გამარჯვებული გახდა სს „ევექსის ჰოსპიტლები"-ზუგდიდის რეფერალური ჰოსპიტალი და ითვალისწინებდა გამოკვლევას კომპიუტერულ ტომოგრაფზე კონტრასტით და კონტრასტის გარეშე. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 20 400,0 ლარს (90 ეპიზოდი). მაგრამ ქვეყანაში არსებული პანდემიის გამო, შევიდა ცვლილება აფხაზეთის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სს „ევექსის ჰოსპიტლები"-ზუგდიდის რეფერალური ჰოსპიტალს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში და შედეგად პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 6 800,0 ლარით. პროგრამის განხორციელება დაიწყო სექტემბრის თვიდან.

ბიუჯეტი	ბენეფიციართა რაოდენობა	ეპიზოდი	ანაზღაურებული თანხა, ლარი	შესრულება
6 800,0	20	30	6 800,0	100%

- *აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხორებ მოქალაქეთა ჰოსპიტალური დახმარების პროგრამა*

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 110 000,0 ლარს. წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად ბიუჯეტი განისაზღვრა 81 750,0 ლარით.

პროგრამის ბიუჯეტი, ლარი	ბენეფიციართა რაოდენობა	ანაზღაურებული თანხა, ლარი	შესრულება
81 750,0	57	81 750,0	100%

პროგრამა წარმოდგენილი იყო 2 კომპონენტით:

- *კორონარული ანგიოგრაფიის კომპონენტი*

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 35 000,0 ლარს და მოიცავდა 70 ეპიზოდის დაფინანსებას. ქვეყანაში არსებული კოვიდპანდემია და მასთან დაკავშირებული რეგულაციები მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი გახდა პროგრამის განხორციელებისთვის, რის გამოც შევიდა ცვლილება აფხაზეთის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და შპს „ავერსის კლინიკას“ შორის გაფორმებულ N44 28.02.20 ხელშეკრულებაში, შედეგად პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 21 000,0 ლარით (42 ეპიზოდი). ხოლო ეპიზოდების რაოდენობა 42-ით. განხორციელდა შპს ,,ავერსის კლინიკაში“.

ბიუჯეტი	ბენეფიციართა რაოდენობა	ეპიზოდი	ანაზღაურებული თანხა, ლარი	შესრულება
21 000,0	42	42	21 000,0	100%

- *მენჯ-ბარძაყის ენდოპროთეზირების კომპონენტი*

განხორციელდა შპს ,,ნიუ ჰოსპიტალსში“.

ბიუჯეტი	ბენეფიციართა რაოდენობა	ეპიზოდი	ანაზღაურებული თანხა, ლარი	შესრულება
60 750,0	15	15	60 750,0	100%

- *აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების პროგრამა*

პროგრამის მიზანი იყო ადგილზე ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევების გზით ავადობის აქტიური გამოვლენა და დევნილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად, „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების“ პროგრამაზე გათვალისწინებულიიყო 60 000,0 ლარი, მათ შორის 45 000,0 ლარი - მედიკამენტების შესყიდვაზე. განხორციელებული ცვლილებების შედეგად ბიუჯეტი განისაზღვრა 11 490,0 ლარით, რაც სრულად იქნა ათვისებული.

პროგრამის ფარგლებში ჩატარდა გასვლითი ღონისძიება სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში (მესტიის მუნიციპალიტეტი). ბენეფიციართა შორის იყვნენ როგორც აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები, ასევე, ადგილობრივი მოსახლეობა.

რეგიონი	**გასინჯულ ბენეფიც. რ-ბა**	**ვიზიტი**
სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი - მესტია, ჭუბერი	**377** მესტია - 262 ჭუბერი - 115	1200

ექიმების მიერ დანიშნული მკურნალობის შესაბამისად დევნილ ბენეფიციარებზე დადგენილი წესით გაიცა მედიკამენტები. „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების“ პროგრამის მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში მესტიის მუნიციპალიტეტში გასვლითი ღონისძიების შემდეგ სამინისტროში ნაშთის სახით იყო დარჩენილი კონსოლიდირებული ტენდერით შესყიდული მედიკამენტები, რომელსაც დაემატა ჰუმანიტარული გზით მიღებული მედიკამენტები. მიზანშეწონილად ჩაითვალა, შესაძლებლობის ფარგლებში გაწეოდა დახმარება აფხაზეთიდან დევნილებს ინდივიდუალურად, მათ მიერ შემოტანილი ფორმა IV-100/ა-ს და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში 114 აფხაზეთიდან დევნილი დაკმაყოფილდა მედიკამენტებით.

- *აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური მხარდაჭერის პროგრამა*

პროგრამის ბიუჯეტი, ლარი	ბენეფიციართა რაოდენობა	ანაზღაურებული თანხა, ლარი	შესრულება
970 674,0	1 875	949 696,07	98%

პროგრამა მოიცავდა შემდეგ კომპონენტებს:

- *<u>ჰოსპიტალური მომსახურებისა და ამბულატორიული ოპერაციული მკურნალობის დაფინანსების ხელშეწყობის პროგრამა</u>*

ბენეფიციართა რაოდენობა	ანაზღაურებული თანხა, ლარი
610	424 607,03

- *<u>ონკოპაციენტებისათვის არაკლასიფიცირებული მედიკამენტებით თანადაფინანსების კომპონენტი</u>*

ბენეფიციართა რაოდენობა	ანაზღაურებული თანხა, ლარი
50	66 800,80

- *<u>რადიო (სხივური) და ქიმიოთერაპიის თანადაფინანსების კომპონენტი</u>*

ბენეფიციართა რაოდენობა	ეპიზოდი	ანაზღაურებული თანხა, ლარი
30	157 სხივური თერაპია - 27 ქიმიოთერაპია - 130	73 925,78

- *<u>სამედიცინო დანიშნულების საგნების შეძენა</u>*

პროგრამის ბიუჯეტმა შეადგინა 123 135,0 ლარი. სამინისტროს მიერ ახალი covid-19 ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით პროგრამის ფარგლებში შეძენილ იქნა 117 383,90 ლარის ღირებულების სამედიცინო დანიშნულების საგნები, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და სამედიცინო აპარატურა, მათ შორის ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის, როგორიცაა ჟანგბადის კონცენტრატორი, კარდიომონიტორი, პულსოქსიმეტრი, დისტანციური თერმომეტრი და სხვ. შეძენილი საგნები და ინვენტარი, მოთხოვნის შესაბამისად, ეტაპობრივად გადანაწილდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარე სამედიცინო დაწესებულებებზე: ა(ა)იპ გალის ცენტრალური რაიონული საავადმყოფო, ა(ა)იპ ნაბაკევის სამედიცინო ამბულატორია, ა(ა)იპ საბერიოს სამედიცინო ამბულატორია, ა(ა)იპ ოტობაიას სამედიცინო ამბულატორია, სოხუმისა და ტყვარჩელის სამედიცინო დაწესებულებები. მედიკამენტები და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები აგრეთვე გადაეცა შპს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ზუგდიდის პოლიკლინიკას“, სადაც პანდემიის გამო გაიზარდა როგორც საზღვრისპირა სოფლებში, ასევე ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მომართვიანობა. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რუხის ადმინისტრაციულ საზღვართან გაიხსნა ზუგდიდის დევნილთა პოლიკლინიკის ექიმებით დაკომპლექტებული და აფხაზეთის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ სამედიცინო მოწყობილობებით აღჭურვილი საველე ჰოსპიტალი. გარდა ამისა, განმუხურსა და ანაკლიაში მოქმედებდა საკარანტინო დაწესებულებები. სამინისტრო ახორციელებდა კარანტინის რეჟიმში მყოფი პირების (განსაკუთრებით ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსული მოქალაქეების) სამედიცინო საკითხების მოგვარებას და მათი მედიკამენტებით უზრუნველყოფის ხელშეწყობას. შესწავლილ იქნა ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამედიცინო ამბულატორიებისა და მოსახლეობის საჭიროება მედიკამენტებთან დაკავშირებით. ჰუმანიტარული გზით მობილიზებულ იქნა 28 961,10 ლარის მედიკამენტები (შპს „ავერსი-ფარმა“, შპს „პსპ-ფარმა“, შპს „ბიოფარმი“, შპს „ნეოფარმი“) და კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში შესყიდულ იქნა 838,77 ლარის მედიკამენტები, რომლებიც გადაეცა ა(ა)იპ გალის ცენტრალურ რაიონულ საავადმყოფოს, საიდანაც, საჭიროების შესაბამისად, გადანაწილდა ნაბაკევის, საბერიოსა და ოტობაიას სამედიცინო ამბულატორიებზე, ასევე სოხუმის სამედიცინო დაწესებულებაზე;

- *<u>სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში სეზონური გრიპის პრევენციის, (COVID-19) ინფექციის გამოვლენისა და მართვის ხელშეწყობა</u>*

პროგრამის ბიუჯეტმა შეადგინა 85 000,0 ლარი. ათვისებულმა თანხამ შეადგინა 78 714,56 ლარი.

საანგარიშო პერიოდში ღონისძიებები ჩატარდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში:

რეგიონი	**ტესტირებების რ-ბა**	**დადებითი შედეგი**	**ვაქცინაცია**	**გაცემული მედიკ. ლარი**
სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი	**700** ზუგდიდი - 300 სენაკი - 164 ფოთი - 236	**81** ზუგდიდი - 39 სენაკი - 11 ფოთი - 31	**317** ზუგდიდი - 199 სენაკი - 17 ფოთი - 101	**9 893,118** ზუგდიდი - 4 837,092 სენაკი, ფოთი - 5 056,026

აჭარის რეგიონი, ბათუმი	**94**	**3**	**36**	**341,454**
იმერეთი რეგიონი	**254** ქუთაისი - 118 წყალტუბო - 88 კოპიტნარი - 48	**61** ქუთაისი - 20 წყალტუბო - 5 კოპიტნარი - 36	**118** ქუთაისი - 45 წყალტუბო - 41 კოპიტნარი - 32	**12 943,78** ქუთაისი, წყალტუბო - 9 099,45 კოპიტნარი - 3 844,33
თბილისი	**92** თბილისის ზღვა - 48 ბაგების სტუდქალაქი - 44	**6** თბილისის ზღვა - 2 ბაგების სტუდქალაქი - 4	**39** თბილისის ზღვა - 24 ბაგების სტუდქალაქი - 15	**593,39**
სულ	***1140***	***151***	***510***	***23 771,742***

➢ *European Union Monitoring Mission in Georgia „ევროკავშირის სადამკვირველო მისია საქართველოში“ მიერ დაფინანსებული საგრანტო პროგრამა „COVID-19 მზაობა და რეაგირება“*

პროგრამის ფარგლებში სამინისტროსთვის გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 185 000,0 ლარი. პირველ ეტაპზე სამინისტრომ განახორციელა 41 955,92 ევროს (142 440,35 ლარის ეკვივალენტი გადმოცემის დროს) ინდივიდუალური დაცვის საშუალებებისა და სადიაგნოსტიკო ტესტების შესყიდვა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი ოთხი სამედიცინო დაწესებულების საჭიროებების ნაწილობრივ უზრუნველყოფის მიზნით. აღსანიშნავია, რომ სამინისტრომ ორიენტაცია აიღო ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედ აპარატურაზე თავსებად უმაღლესი ხარისხის, საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე (CE-IVD და/ან FDA(USA) ვალიდურ ტესტ-სისტემებზე. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ბაზარზე ხარისხიანი (ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ აპარატურაზე თავსებადი) ტესტების ერთეულის ფასი ბევრად აღემატებოდა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მოწოდებული პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულს, საერთაშორისო ორგანიზაციასთან შეთანხმებით მოხდა PCR-ტესტების სახეობის, რაოდენობის დაკორექტირება (შემცირება) და მარტივი, მაგრამ ვალიდური ანტისხეულებზე Ig G/Ig M დაფუძნებული სწრაფი ტესტების ჩართვა (ოკუპირებული ტერიტორიის დიდი ნაწილისთვის არ არის ხელმისაწვდომი PCR ტესტირების ჩატარება PCR-ანალიზატორის არქონის გამო) პროგრამის ბიუჯეტში ტესტების შესყიდვისთვის გათვალისწინებული ჯამური ღირებულების 39 750,0 ევრო (134 951,25 ლარი) შენარჩუნებით. გრანტის ფარგლებში შესყიდვა წარიმართა 2 ეტაპად მიმწოდებლების შესაძლებლობებიდან გამომდინარე და გათვალისწინებით:

ეტაპი	**მიმწოდებელი**	**თანხა, ლარი**
I	შპს ,,პრიმამედი“	**129 940,0**
II	შპს ,,ემ ელ სი“ შპს ,,მედინიუსი“	**47 175,0** შპს ,,ემ ელ სი“ – 4 000,0 შპს ,,მედინიუსი“ – 43 175,0
სულ		***177 115,0***

- სამინისტროს ჩართულობით 2020 წელს განხორციელდა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები 17 კოვიდინფიცირებული გარდაცვლილი ბენეფიციარის სარიტუალო მომსახურებაში დახმარება, აქედან 12 ბენეფიციარზე თანხობრივი უზრუნველყოფა შეადგენდა 11 149,0 ლარს.

- *აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომუშავე ექიმების და საშუალო სამედიცინო პერსონალის გადამზადების პროგრამა*

ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან (პანდემია) გამომდინარე, პროგრამა განხორციელდა ონლაინ რეჟიმში. სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან გაფორმდა ხელშეკრულება 4 960,0 ლარზე.

პროგრამის ბიუჯეტი, ლარი	საშუალო მედპერსონალი და ექიმი	ანაზღაურებული თანხა, ლარი	შესრულება
4 960,0	16	4 960,0	100%

ამრიგად, პროგრამების ბიუჯეტმა 2020 წელს შეადგინა სულ 1 417 640,83 ლარი. დახმარება გაეწია 4 093 ბენეფიციარს, მათ შორის ჯანდაცვითი პროგრამების ფარგლებში - 1 825 ბენეფიციარს (3 092 ეპიზოდი), პროფსამედიცინო გასინჯვებით - 377 ბენეფიციარს, გადამზადების პროგრამით - 16 და სოციალური მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 1875 ბენეფიციარს.

სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებას წარმოადგენდა ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები აფხაზი მოქალქეებისათვის სამედიცინო დახმარების გაწევის საორგანიზაციო საკითხებში მონაწილეობა, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი, განსახლება და შექმნილი პრობლემების დროს დაუყოვნებელი რეაგირება. აფხაზეთის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დახმარებისათვის მიმართა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებმა (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე) 316 პირმა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებმა საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი მოწმობის მქონე 44 დევნილმა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომისიის ოქმით დაფინანსდა 993 ბენეფიციარი. რეფერალური ობიექტით (საცხოვრისი) ისარგებლა ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებმა 26-მა ბენეფიციარმა თანმხლებ პირებთან ერთად. თითოეული მოსარგებლის ჩასახლება აღნიშნულ ობიექტზე განხორციელდა „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეფერალური ობიექტით სარგებლობის წესი“-ს (მინისტრის ბრძანება №46, 19.02.2016წ.) შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში, აფხაზეთის ა/რ მთავრობასა და ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში „აბასთუმნის ფილტვის ცენტრში“ ფილტვის ქრონიკულ დაავადებათა რეაბილიტაციის კურსის ჩატარების მიზნით გაიგზავნა 48 ბენეფიციარი. სამინისტროს შუამდგომლობით, არასამთავრობო ორგანიზაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ მიერ 27 ბენეფიციარს გადაეცა ინვალიდის ეტლი.

განათლება, კულტურა, სპორტი

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ განხორციელდა შემდეგი პროგრამები და ქვეპროგრამები:

- *წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა*

პროგრამის ფარგლებში განხილულ იქნა 288 განცხადება. განსაზღვრული კრეტირიუმების მიხედვით დაფინანსდა 234 წარმატებული ახალგაზრდა აფხაზეთიდან.

- დიმიტრი (არზაყან) ემუხვარისა და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდია

დაფინანსდა 2 სტუდენტი.

- აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდია

დაფინანსდა 1 სტუდენტი.

- *აფხაზური ენის პედაგოგთა ფინანსური მხარდაჭერა*

დაფინანსდა აფხაზეთის საჯარო სკოლების აფხაზური ენის 5 პედაგოგი.

- *ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების პროგრამა*

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ყოველკვარტალურად უზრუნველყოფს ფინანსური (სოციალური) დახმარების გაცემას, რომლის ოდენობაც 2020 წელს განისაზღვრა შემდეგნაირად: დირექტორებისთვის 1 050,0 ლარის, პედაგოგებისთვის 1 020,0 ლარის, ტექნიკური პერსონალისთვის 675,0 ლარის ოდენობით. 2020 წლის IV კვარტალში დაფინანსდა 913 ბენეფიციარი, მათ შორის 708 მასწავლებელი, 23 დირექტორი, 182 ტექნიკური პერსონალი.

2020 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების მიზნით შექმნილმა კომისიამ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2009 წლის 19 მარტის №147 ბრძანების შესაბამისად, აღიარა 341 პირის მიღებული განათლება ოკუპირებულ ტერიტორიაზე (მ.შ. 305 სრული, 5 საბაზო, 31 ცალკეული).

2019-2020 სასწავლო წელს აფხაზეთის საჯარო სკოლების კურსდამთავრებულთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 181 მოსწავლე. აკადემიური პროგრამებზე ჩაირიცხა 94 მოსწავლე, პროფესიულ პროგრამაზე - 2 მოსწავლე. 70% სახელმწიფო გრანტი მოიპოვა 2 მოსწავლემ, ხოლო 50% სახელმწიფო გრანტი - 14 მოსწავლემ.

მომზადდა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში განსახილველად გაეგზავნა ინფორმაცია:

– 385 პირის შესახებ, რომლებიც ბოლო 2 წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

– უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვისა და დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 21 სექტემბრის №101/ნ ბრძანების შესაბამისად, 29 პირის შესახებ, რომლებიც ელექტრონულად დარეგისტრირდნენ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდის გამოყენებით.

გალის რაიონის ომამდელი საზღვრების სკოლებიდან წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე, 2019-2020 სასწავლო წლის საბაზო საფეხურის მაღალი აკადემიური მოსწრების 6 კურსდამთავრებული, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერის“ ფარგლებში დაჯილდოვდა კომპიუტერით. ოკუპირებული გალის რაიონის სკოლებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ამავე პროგრამის ფარგლებში, 343 პირველკლასელისა და 32 დამრიგებლისთვის რესურსცენტრმა მიიღო ნეთბუკები და პირველი კლასის გრიფირებული სახელმძღვანელოები ქართულ ენაში, მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებაში.

ასევე, საანგარიშო პერიოდში:

- სამინისტრომ საკანცელარიო ნივთები გადასცა ოკოპირებულ ტერიტორიაზე განთავსებულ სკოლებს;
- ოკოპირებულ ტერიტორიაზე განთავსებული ფიჩორისა და გაგიდის საშუალო სკოლებისათვის ესპანურმა საერთაშორისო ორგანიზაციამ „ფინსოლმა“ გამოყო 10 ნოუთბუკი;
- ზაფხულის არდადეგების პერიოდში, ოკუპირებული ტერიტორიის სკოლების მაღალი საფეხურის 8 მოსწავლე რუხის ინოვაციების ცენტრში დაეუფლა კომპიუტერულ პროგრამებს (ფოტოშოპი, 3D მოდელირება და სხვა).
- პედაგოგებისათვის ჩატარდა ტრენინგები.

ოკუპირებული გალის რაიონის სკოლების პედაგოგები ჩართულები არიან ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამაში. საანგარიშო პერიოდში დაზღვეულია 744 მასწავლებელი.

- *აფხაზეთის მეცნიერთა მხადაჭერის პროექტი*

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა:

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ავტორთა კოლექტივის ნაშრომი „აფხაზეთის ეკონომიკა: თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები“;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მერაბ რაფავას ნაშრომი „თანამედროვე სამართლის აქტუალური პრობლემები“.
- ააიპ „აფხაზეთი ჩემი სახლი“, სამეცნიერო კონფერენციის კრებული „აფხაზეთის კულტურულ-ისტორიული წარსული და თანამედროვეობა“.

- *კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერის პროგრამა*

პროგრამის ფარგლებში:

- გაიმართა საღამო ,,ეპოქა ქალის“;
- მოეწყო „ბალადა ვეფხისა და მოყმისა“ მსოფლიოს 17 ენაზე თარგმნილი წიგნის (არაბული, ბერძნული, ესპანური, თურქული, იაპონური, ინდური, ინგლისური, იტალიური, რუსული, სპარსული, უკრაინული, ფრანგული, აზერბაიჯანული, გერმანული, სომხური, ებრაული და ჩინური) პრეზენტაცია;
- აფხაზეთიდან დევნილ 12 ხელოვან ქალბატონს გადაეცა საქართველოს მწერალთა კავშირის დიპლომი „საქართველოს კულტურის ამაგდარი“.
- ახალგაზრდა მწერალთა კონკურსმა „სიყვარულს უშენებია“ გამოავლინა 7 საუკეთესო ავტორი, რომლებიც დაჯილდოვდნენ ფულადი პრემიით და დიპლომით, ხოლო დანარჩენ ავტორთა ნაწარმოებები კატალოგში დაიბეჭდა.

საანგარიშო პერიოდში გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის ლაურეატები გახდნენ:

- სსიპ სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი, სპექტაკლი „მთვარის მოტაცება“;
- ხუტა კვარაცხელია - ფერწერული ნამუშევრები;
- ირაკლი შამათავა - მოთხრობების კრებული „გამშვები პუნქტი“;
- შოთა ზოიძე - ლექსების კრებული „გულზე დასაყრელი მიწა“.
- *კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერის პროგრამა*
  პროგრამის ფარგფლებში დაფინანსდა

	შინაარსი
ააიპ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაცია	– სპორტის ოსტატის ალექსი ილიადის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიების ჩატარება; – საქართველოს ეროვნული გმირის გურამ გაბისკირიას სახელობის მინი-ფეხბურთის ტურნირის ჩატარება
ა(ა)იპ ძალისმიერი სპორტის საერთაშორისო გაერთიანება“	ძალისმიერი სპორტის შეჯიბრი ,,აფხაზეთი საქართველოა“
საქართველოს ვეტერან და მოყვარულ ჩოგბურთელთა ფედერაცია	აფხაზეთის ა/რ ღია სამოყვარულო საჩოგბურთო ფესტივალის „სპორტი და მშვიდობა“ ჩატარება
ააიპ „საქართველოს ამპუტანტთა ფეხბურთის ასოციაცია“	ტურნირის „აფხაზეთის თასი“ ჩატარება
საქართველოს საცხენოსნო ხალხური თამაშობების განვითარების ეროვნული ფედერაცია	ჟიული შარტავას ხსოვნისადმი მიძღვნილი საცხენოსნო ტურნირის „აფხაზეთის თასი“ ჩატარება
ბავშვთა საფეხბურთო სკოლა „აფხაზეთი“	მოედნის იჯარის გადასახადად დაფინანსდა 800,0 ლარის ოდენობით

ეკონომიკის სფერო

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს 2020 წელს წარმოადგენდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო სისტემის მართვა, საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის რეგულირება, ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვა და ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი, ადამიანური რესურსების მართვა და ადმინისტრირება, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების ფლობა, მართვა და განკარგვა, სტატისტიკური აღრიცხვა, იგპ-თა და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის აგრარული, გარემოსდაცვითი და დარგობრივი მიმართულებით არსებული პრობლემების გადაჭრაზე ადაპტირებული პროექტების, პროგრამების და წინადადებების მომზადება და განხორციელება.

საანგარიშო პერიოდში სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების და მის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების თანამშრომლების მიერ Stopcov ფონდში გადარიცხულმა თანხამ შეადგინა 16 298,0 ლარი.

სამინისტროს დაქვემდებარებაში ფუნქციონირებდა 2 საქვეუწყებო დაწესებულება (*აგრარულ საკითხთა დეპარტამენტი, ინფრასტრუქტურისა და დარგობრივ საკითხთა დეპარტამენტი)* და 3 სსიპ (*სსიპ აფხაზეთის გეოლოგიისა და მინერალური რესურსების სააგენტო, სსიპ დევნილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების სააგენტო, სსიპ ,,აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სტაჟირების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი ,,ბიზნეს-ინკუბატორი“).*

სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაექვემდებარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა და ა(ა)იპ ,,საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისთვის“ საქმიანობა. გარდა აღნიშნულისა, სამინისტრო ახორციელებდა მის სისტემაში შემავალი, სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული 12 შპს-ის (სამედიცინო დაწესებულებები) საქმიანობის ზედამხედველობას.

კორონავირუსის COVID-19 გავრცელების საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების პირველი, შემდგომი ეტაპისა და პოსტპანდემიური პერიოდისათვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სამოქმედო გეგმა-პროექტების ჩარჩოებში სამინისტროს სამედიცინო დაწესებულებები მუშაობდნენ საგანგებო რეჟიმში. სამინისტროს შუამდგომლობით ა(ა)იპ საერთასორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის მიერ პოლიკლინიკებს გადაეცა 24 ათასი ლარის ღირებულების როგორც სპეც. აღჭურვილობა, ასევე მედიკამენტები და სამედიცინო სახარჯი მასალა; COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებით შემუშავდა მუშაობის საგანგებო გეგმა, ინფორმაციის ოპერატიულად მოწოდების შესაბამისი ფორმები;

დაიგეგმა სამედიცინო პროფილაქტიკური გასვლები დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ადგილებში. ამ მიზნით ჩამოყალიბდა 6 სამედიცინო მუშა ჯგუფი - 2 თბილისში, 2 იმერეთში, 2 სამეგრელოში. მიმდინარეობდა მუშაობა რისკფაქტორების მქონე კომპაქტურად ჩასახლებული დევნილი ბენეფიციარების ერთიანი ბაზის შესაქმნელად პოსტპანდემიურ პერიოდში მათთან აქტიური სამედიცინო პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩასატარებლად. 2020 წლის გამნავლობაში პოლიკლინიკები მოემსახურა 88 688 ბენეფიციარს. 24 საათიან რეჟიმში მორიგეობდნენ ენგურის ხიდთან სამედიცინო კარავში ზუგდიდის, ჯვრის, ხონის, სენაკის, ფოთის პოლიკლინიკის ექიმები სამართალდამცავ ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებმა 2020 წელს შეადგინა სულ 19 115,75 ათასი ლარი, რაც გეგმის (18 316,46 ათასი ლარი) 104,36%-ია.

გადასახადების სახეების მიხედვით ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა:

- საშემოსავლო გადასახადი – 9 662,27 ათასი ლარი. გეგმა (8 831,46 ათასი ლარი) შესრულდა 109,41%;
- სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი – 9 142,44 ათასი ლარი. გეგმა (9 185,0 ათასი ლარი) შესრულდა 99,54%-ით;
- სხვა შემოსავლები – 276,07 ათასი ლარი, რამაც გეგმის (300,00 ათასი ლარი) 92,02% შეადგინა.

ბიუჯეტის შევსების მთავარი წყაროებია ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი და საშემოსავლო გადასახადი, რომელთა ხვედრითი წილი შემოსავლების საერთო მოცულობაში 47,8 და 50,5 პროცენტს შეადგენს შესაბამისად. აღნიშნული

შემოსავლები ჯამში საერთო შემოსავლების 98,4 პროცენტია, დანარჩენ შემოსავლებზე მოდის 1,4 პროცენტი.

დიაგრამა N 3 რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების საერთო მოცულობაში შემოსავლების ხვედრითი წილები სახეების მიხედვით. 2020 წ.



2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით:

- შემოსულობები გაიზარდა 3 077,83 ათასი ლარით, ანუ 19,2%-ით;
- საშემოსავლო გადასახადი გაიზარდა 1994,62 ათასი ლარით ანუ 26 %-ით;
- ტრანსფერი გაიზარდა 1142,44 ათასი ლარით ანუ 14,3%-ით;
- სხვა შემოსავლები შემცირდა 77,97 ათასი ლარით ანუ 22,0 %-ით.

ცხრილი N 6 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შედეგები. 2020

ათასი ლარი

	გეგმა	ფაქტი	გეგმის შესრ.%	გეგმასთან შედ.+/-	ხვ. წილი გადასახდელებთან %
გადასახდელები – სულ მ.შ.	***19843,37***	***18924,94***	***95,4***	***-918,4***	***100***
• შრომის ანაზღაურება	8062,39	7783,79	96,5	-278,6	41,13
• საქონელი და მომსახურება - სულ მ.შ.	3359,93	3053,21	90,9	-306,7	16,1
– შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	1637,89	1560,32	95,3	-77,6	8,24
– მივლინებები	157,97	147,72	93,5	-10,3	0,78
– ოფისის ხარჯები	550,96	492,91	89,5	-58,1	333,68
– წარმომადგენლობითი	117,1	108,1	92,3	-9,0	0,57
– სამედიცინო ხარჯები	188,46	179,99	95,5	-8,5	0,95
– რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის, პირად ჰიგიენასთან დაკ. ხარჯები	4,47	3,42	76,5	-1,1	0,02

– ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	443,62	360,42	81,2	-83,2	1,90
– სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	259,46	200,42	77,2	-59,0	1,06
• სუბსიდია	4517,35	4329,3	95,8	-188,1	22,88
• გრანტები	7,38	7,3	98,9	-0,1	0,04
• სოციალური უზრუნველყოფა	2150,95	2119,02	98,5	-31,9	11,20
• სხვა ხარჯები	927,98	842,59	90,8	-85,4	4,45
• არაფინანსური აქტივების ზრდა	817,39	789,73	96,6	-27,7	4,17

აფხაზეთის ა/რ მთავრობის 2020 წლის 27 მარტის ოქმი №4 გადაწყვეტილებით აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს დაევალა, საგანგებო მდგომარეობის პირობებში, ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან თანხების აკუმულირება და საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული სხვადასხვა პროგრამებისა და ღონისძიებების დასაფინანსებლად მიმართვა. 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ანალიზის შედეგად გამოთავისუფლებულ იქნა 1 006 000 ლარი.

ახალი კორონავირუსის (COVID–19) გავრცელების პრევენციის მიზნით აფხაზეთის ა/რ მთავრობის მიერ, შემდგომ ეტაპზე, ამ მიმართულებით გასატარებელი ღონისძიებებისათვის სამინისტრო აწარმოებდა აქტიურ მოლაპარაკებას საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან. აფხაზეთის ა/რ ბიუჯეტში დამატებითი ფინანსური რესურსის (სპეციალური ტრანსფერი) გამოყოფის თაობაზე. „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტს დამატებით გამოეყო 1 000 000 ლარი.

ბიზნეს სექტორი

საანგარიშო პერიოდში ბიზნეს სექტორი მოიცავდა 14 ეკონომიკურ სუბიექტს, რომელთაგან 12-ს მართავდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო, ხოლო 2-ს (შპს ,,ენგურჰესი“ და შპს ,,ვარდნილჰესების კასკადი“) – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

2020 წელს აფხაზეთის ა/რ ბიზნეს სექტორის ორგანიზაციებში საშუალოდ 1 531 კაცი მუშაობდა. დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებამ ამ პერიოდში სულ შეადგინა 21 283,1 ათასი ლარი, საშუალო ხელფასის ოდენობამ თვეში – 1 157,7ლარი. საშუალო თვიურმა ხელფასმა 2019 წელს გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებლეთან შედარებით მოიმატა 155,5 ლარით ანუ 16,2%-ით.

პროდუქციის ბრუნვა[1] და გამოშვება[2]

2020 წელს ბიზნეს საწარმოთა მიერ პროდუქციის ბრუნვა/გამოშვება განისაზღვრა 52,5 მლნ. ლარით. პროდუქციის ბრუნვა/გამოშვება 2020 წელს გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებლთან შედარებით შემცირდა 35,8 მლნ. ლარით ანუ 31,8%-ით.

საანგარიშო პერიოდში პროდუქციის ბრუნვისა და გამოშვების საერთო მოცულობაში ძირითადი წილი (99,7%) მოდის ენერგეტიკაზე – 51,8 მლნ. ლარი, ხოლო დანარჩენ საწარმოებზე – 0,6 მლნ. ლარი.

2020 წელს ენერგოსაწარმოებმა (შპს ,,ენგურჰესი“ და შპს ,,ვარდნილჰესების კასკადი“) წინასწარი მონაცემებით სულ 3,5 მლრდ.კვტ.სთ ელექტროენერგია გამოიმუშავეს. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (3,9 მლრდ. კვტ.სთ.) ელექტროენერგიის გამომუშავება შემცირდა დაახლ. 0,4 მლრდ.კვტ.სთ-ით.

საანგარიშო პერიოდში ამ საწარმოებში დასაქმებული იყო სულ 1173 კაცი, რომელთა საშუალო ხელფასი თვეში განისაზღვრა 1 360,3 ლარით, რაც 3,5 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (1 355,5 ლარი) შედარებით.

ქონების მართვა და პრივატიზება

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტის მიერ:

- განხორციელდა სახელმწიფო ქონების განკარგვის (როგორც მიღების, ასევე გადაცემის) 80-მდე პროცესი;
- შემუშავდა წინადადებები ქ. ქუთაისში, გუგუნავას ქ. N1-ში განთავსებული უძრავი ქონების რეგისტრაციაზე და სარგებლობის უფლებით გადმოცემაზე;
- სხვადასხვა უწყებებიდან მიღებულ და გადაცემულ იქნა 13 ავტომანქანა;
- აუქციონის წესით გაყიდულ იქნა 11 ავტოსტრანსპორტო საშუალება საერთო ღირებულებით 55 000,0 ლარი. აფხაზეთის ბიუჯეტის სახაზინო ანგარიშზე მიმართულ იქნა გაყიდული თანხის 65% - 34 957,0 ლარი;
- განხორციელდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტოლფასი ქონებით ჩანაცვლება ა(ა)იპ აფხაზეთის ა/რ საინფორმაციო ანალიტიკურ ცენტრთან;
- შედგა ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. N15ა-ში სარდაფის სართულზე განთავსებული 900კვ.მ ფართის რეაბილიტაციის გეგმა;
- ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ზემო ქვალონში განხორციელდა 18 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის გადმოცემა, რომელიც შემდგომ გადაეცა სსიპ ,,დევნილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების სააგენტოს *“;*
- მომზადდა მეორადი სასათბურე კონსტრუქციების მართლზომიერად და ეფექტურად გამოყენების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის ანგარიში;

---

[1]**პროდუქციის ბრუნვა** – არის საანგარიშო პერიოდში ეკონომიკური ერთეულის მიერ განხორციელებული გაყიდვები ანუ დარიცხული შემოსავლები საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან (ბარტერის ჩათვლით). ბრუნვა მოიცავს ყველა გადასახადსა თუ ბაჟს საქონელსა და მომსახურებაზე (დღგ-ისა და აქციზის გარდა). მასში ჩაირთვება აგრეთვე ყველა ხარჯი (სატრანსპორტო, შეფუთვის და ა.შ.), რომლებიც დაეკისრება მყიდველს. ფასთა დაწევა, ფასდაკლებები თუ ფასდათმობები, აგრეთვე დაბრუნებული ტარის ღირებულება შეიძლება გამოირიცხოს ბრუნვიდან (ნაღდი ანგარიშსწორებისას მხოლოდ ფასდაკლებების გამორიცხვით). ბრუნვაში არ ჩაირთვება აქტივების გაყიდვა, აგრეთვე სუბსიდიები.

[2]**პროდუქციის გამოშვება** – განსაზღვრავს ეკონომიკური ერთეულის მიერ ფაქტობრივად წარმოებული პროდუქციის რაოდენობას და რეალიზებული პროდუქციის მოცულობას, გადაყიდვისათვის შეძენილი საქონლისა და მომსახურების, აგრეთვე მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილებების ჩათვლით.

- კორონავირუსის შესაძლო გავრცელების საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებით დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ადგილზე ჩასვლითა და დისტაციურად მონიტორინგს უწევდა რუხის სასაზღვრო ზოლთან გახსნილ საველე ჰოსპიტალში სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში განთავსებული აფხაზეთიდან იგპ-თა პოლიკლინიკების ყოველდღიურ მორიგეობას;
- დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო სამინისტროს ბალანსზე რიცხულ ძირითად საშუალებათა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა სრულყოფის და მათი ვარგისიანობის დადგენის მიზნით ჩატარებულ ინვენტარიზაციაში.

აფხაზეთის ა/რ მთავრობის 100%-იანი წილით შექმნილი სამედიცინო დაწესებულებების მართვა

- მომზადდა აფხაზეთის ა/რ მთავრობის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს-ების 2019 წლის, 2020 წლის I კვარტალის, 6 თვისა და 9 თვის ფინანსური ანგარიშები;
- დასრულდა ქ. თბილისში განთავსებული აფხაზეთის ა/რ მთავრობის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული 3 პოლიკლინიკის გაერთიანების პროცესი;
- წინასწარი მონაცემებით, შპს-ების სავარაუდო მოგებამ 2020 წელს შეადგინა 90 487 ლარი.
- შემუშავდა:
  - წინადადებები 2019 წლის მოგების რეინვესტირებაზე;
  - სამედიცინო დაწესებულებების ,,ერთი ქოლგის ქვეშ“ მოქცევის შესახებ;
- COVID-19 გავრცელებასთან დაკავშირებით თორმეტივე პოლიკლინიკა გადავიდა მუშაობის საგანგებო რეჟიმზე;
- სოფ. რუხში არსებულ მრავალპროფილიან სამედიცინო ცენტრში, COVID-19 წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად, შეიქმნა მოხალისე მედიკოსთა სარეზერვო ჯგუფი 46 პირის ოდენობით;

თურქეთის თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოს (TIKA Tiflis) თბილისის პროგრამის საკოორდინაციო ოფისის მიერ დიაბეტის თემაზე დაგეგმილ ტრენინგში მონაწილეობის მიზნით შედგა აფხაზეთის სამედიცინო დაწესებულებიდან მონაწილე პირთა ნუსხა (სულ 50 პირი) და განისაზღვრა ტრენინგის ჩატარების სამი ლოკაცია (ზუგდიდი, ქუთაისი, თბილისი).

2020 წლის 10 სექტემბერს გაიმართა აფხაზეთის ა/რ მთავრობის მიერ (რომლის წილსაც მართავს აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო) 100%-იანი წილით შექმნილი საწარმოების საქმიანობის შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის სხდომა, სადაც განხილულ იქნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს მართვაში არსებულ სტრუქტურებში (შპს ,,აფხაზეთიდან იგპ-თა ზუგდიდის პოლიკლინიკა, შპს ,,დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი ცხუმი“ და შპს ,,დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი ბიჭვინთა“) განხორციელებული შემოწმების შედეგები. გამოვლენილი ნაკლოვანებების გაანალიზების შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შპს-ების წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც იურიდიული დეპარტამენტი ქონების მართვისა და პრივატიზების დეპარტამენტთან ერთობლივად მუშაობს შპს-ების წესდებაში შესატან ცვლილებებზე საწესდებო კაპიტალის 15%-ზე მეტი ღირებულების სამეურნეო გარიგებებისა და ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით. აგრეთვე, წესდებაში შეტანილ იქნება დამატებითი ჩანაწერი,

რომლის თანახმად შპს-ებს მიეცემა უფლება 200 ლარზე ნაკლები ღირებულების შესყიდვები განახორციელოს პარტნიორის თანხმობის გარეშე.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ სახელმწიფო წილით დაფუძნებული საწარმოების ფუნქციონირების შედეგები

2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფუნქციონირებდა აფხაზეთის ა/რ მთავრობის მიერ დაფუძნებული 12 სამედიცინო პროფილის საწარმო (შპს). დასაქმებული იყო 358 კაცი, რომელთა საშუალო თვიურმა ხელფასმა 332,84 ლარი შეადგინა. 2020 წელს შრომის ანაზღაურების სახით გაიცა 1 575 052 ლარი, ხოლო რესპუბლიკურ ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადის სახით მიიმართა 287 042 ლარი.

ცხრილი N 7 შპს-ების ფინანსური მაჩვენებლები. 2020 წ.

	გეგმა, ლარი	**ფაქტიური შემოსავალი, ლარი**	**+/- გეგმასთან, ლარი**	**% გეგმასთან**
შემოსავლები	2 223 705	2 336 488	112 783	5,1
დანახარჯები	2 088 494	2 252 235	163 741	7,8
მოგება	135 211	90 487	-44 724	33,1

ცხრილი N 8 შპს-ების ფინანსური მაჩვენებლების შედარება 2020წ.-2019წ,

	2020 წელი	**2019 წელი**	**2020/2019 ლარი**	**2020/2019 %**
შემოსავლები	2 336 488	2 307 674	28 714	1,3
დანახარჯები	2 252 235	2 182 984	69 251	3,2
მოგება	91 487	129 002	-38 515	29,8

დიაგრამა N 4 შპს-ების შემოსავლები. 2020წ.



ცხრილი N 9 შპს-ების შემოსავლები სახეების მიხედვით. 2020 წ.

	ლარი	ხვედრითი წილი შემოსავლების საერთო მოცულობაში, %
შემოსავლები, სულ	**2 336 488**	**100**
სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო	**1 568 554**	67,1
შიდა სტანდარტი	**456 364**	19,5
სხვა შემოსავალები	**311 570**	13,4

კერძო სამართლის იურიდიული პირების საკუთარი შემოსავლების მკვეთრი კლება გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ძირითადში განპირობებული იყო კოვიდინიფექციის საპრევენციო ღონისძიებების გატარების გამო ხარჯების ზრდით და ბენეფიციართა მომართვიანობის შემცირებით.

ცხრილი N 10 შპს-ების ბენეფიციართა რაოდენობის შედარება 2020წ.-2019წ,

	2020 წელი	2019 წელი	2020/2019 ლარი	2020/2019 %
ბენეფიციართა რაოდენობა	95 993	137 612	- 41 619	30,2

სსიპ ,,აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სტაჟირების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი ბიზნეს-ინკუბატორი“

საანგარიშო პერიოდში ,,ბიზნეს-ინკუბატორის“ სარგებლობაში არსებული ფართებიდან (17 727 კვ.მ) იჯარით დატვირთული იყო 9 445 კვ.მ. გამოუყენებელი 7900 კვ.მეტრამდე ფართი ექსპლუატაციისთვის თითქმის გამოუსადეგარია და საჭიროებს რემონტს.

,,ბიზნეს-ინკუბატორში“ სულ დასაქმებული იყო 24 პირი (მ.შ. ბიზნესინკუბატორში სტაჟირებაგავლილი 3 პირი). შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული 4-წლიანი საგრანტო პროგრამის ფარგლებში დასაქმდა დამატებით 10 ადამიანი. მოიჯარე კომპანიებში დასაქმებული იყო 100-მდე პირი, რომელთა შორის 21 პირი იყო დევნილი.

COVID-19თთან დაკავშირებული მოვლენების შედეგად, მოიჯარეების მცირე ნაწილმა ნაწილობრივ, ხოლო სხვებმა სრულად შეწყვიტეს ეკონომიკური საქმიანობა. ეს სიტუაცია აისახა ბიზნეს-ინკუბატორის შემოსავლების ნაწილში.

2020 წლის იჯარის შემოსავლებმა შეადგინა 98,5 ათასი ლარი, რაც გასული წლის მაჩვენებელთან (72,8 ათასი ლარი) შედარებით 25,7 ათასი ლარით, ანუ 35,3%-ით მეტია. გადასახადების სახით სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართულმა თანხამ ჯამურად შეადგინა 29,89 ათასი ლარი (საშემოსავლო გადასახადი - 23,8 ათასი; ქონების გადასახადი - 5,6

ათასი ლარი, მიწის გადასახადი -509 ლარი), რაც 1,2 ათასი ლარით, ანუ 4,3%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს (28,66 ათასი ლარი).

აგრარული სფერო

საანგარიშო პერიოდში აგრარული მიმართულებით მუშაობდა საქვეუწყებო დაწესებულება - აგრარულ საკითხთა დეპარტამენტი, აგრარულ და დარგობრივ საკითხთა სამსახური და სსიპ „დევნილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების სააგენტო“.

აგრარულ საკითხთა დეპარტამენტის მიერ საანგარიშო პერიოდში:

- შესრულდა შრომატევადი სამუშაო - საქართველოს რეგიონებში მუნიციპალიტეტების მიხედვით იგპ-თა საკუთრებაში არსებული და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული 0,5 ჰა-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების დაზუსტებაშესწავლა, შემდგომში ელექტრონული ბაზის შექმნისა და სხვადასხვა აგრარულ პროექტებში და პროგრამებში მათი ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით; ელექტრონული ბაზის ჩამოყალიბების უზრუნველსაყოფად მოხდა დამუშავებული მასალების სისტემატიზირება და შეიქმნა ელექტრონული ბაზა
- შემუშავებული ფორმატის მიხედვით, პარალელურად მიმდინარეობდა ოკუპირებული აფხაზეთის სოფლებში გავრცელებული ნიადაგების ფიზიკო-ქიმიური მონაცემების შესწავლა-დამუშავება, მომავალში ელექტრონული ბაზის შექმნის მიზნით. აღნიშნული საკითხი დღის წესრიგში დადგა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობიდან ინფორმაციის მოთხოვნაზე მომართვიანობის ზრდის საფუძველზე. განსაკუთრებული აქტუალობა ჰპოვა ამ საკითხმა „აწარმოე საქართველოს“ ქვეპროგრამა „აწარმოე უკეთესი მომავლისთვის“ ფარგლებში მცირე გრანტების პროგრამის ამოქმედების შემდგომ;
- შემუშავდა და დასაბეჭდად მომზადდა დაფნის კულტურის სანერგისა და პლანტაციის გაშენების აგროტექნიკური რჩევები, რომელიც შემდგომ გადაეცემა დევნილ ფერმერებს;
- დევნილი მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე მოძიებულ და დამუშავებულ იქნა სხვადასხვა ბოსტნეული კულტურების (პომიდორი, ბადრიჯანი და კარტოფილი) აგროტექნიკული რჩევები, ამასთანავე ამ თემით დაინტერესებულ ფერმერებს გაეწიათ შესაბამისი კონსულტაცია;
- შესწავლილ იქნა მცხეთის რაიონის სოფელ წიწამურის ნიადაგის ფიზიკო-ქიმიური შემადგენლობა და ამ ნიადაგზე შესაძლო სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაშენებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება;
- შემუშავებულ და შედგენილ იქნა ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვალონში „აგროსერვისის ცენტრის“ ლოკალური ხარჯთაღრიცხვის ესკიზ-პროექტი;
- იგპ-თა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, დეპარტამენტის სპეციალისტები, სსიპ „დევნილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების სააგენტოს“ სპეციალისტებთან ერთად, მონაწილეობდნენ ,,აფხაზეთიდან დევნილთა საარსებო წყაროების უზრუნველყოფა ერთწლიანი კულტურების წარმოების გზით“ პროგრამის განხორციელებაში ზუგდიდისა და ხობის მუნიციპალიტეტებში;
- ,,მდ. ენგურის ე.წ გამყოფი ხაზის ორივე მხარეზე მცხოვრებ დევნილ ფერმერთა შემოსავლების ზრდის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, რომელიც გულისხმობს დაბალმოსავლიანი ამორტიზირებული თხილის და სხვა მრავალწლიანი პლანტაციების

შეცვლას მაღალპროდუქტიული, სხვადასხვა დაავადებებისა და ავდმყოფობის მიმართ უფრო გამძლე თანამედროვე ჯიშებით ჩანაცვლებას, საპილოტე ნაკვეთების გასაშენებლად მიმდინარეობდა ბენეფიციართა შერჩევის პროცესი, როგორც აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ასევე გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში განსახლებულ იგპ-ს შორის. გაფორმდა ხელშეკრულება შპს „აგრიჯორჯიასთან“, რის საფუძველზე შესყიდულ იქნა 2500 ძირი იტილიური ჯიშის ნერგი, მათ შორის 2100 ძირი „ჯიფონის“ და 400 ძირი „რომანას“ (10%-ზე მეტი დამამტვერიანებელი) ჯიშები. წლის ბოლოს აღნიშნული ნერგები გადაეცათ ბენეფიციარებს კანონმდებლობით დადგენილი წესით - ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე 900 ძირი გადაეცათ (ოჩამჩირის, ტყვარჩელის და გალის რაიონები) და საპილოტე პლანტაციები გაშენდა 1,8 ჰექტარზე, ხოლო ე.წ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ დევნილ ბენეფიციარებს (წალენჯიხისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტები) გადეცათ 1600 ძირი და გაშენდა 3,2 ჰექტარი თხილის პლატაციები. ქვეყანაში გავრცელებული ახალი კორონავირუსით COVID 19 გამოწვეული პანდემიისა დაე.წ გამყოფ ხაზზე არსებული რთული მდგომარეობის გამო, ოკუპირებულ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებმა სამმა ბენეფიციარმა უარი განაცხადა პროგარამაში მონაწილეობაზე. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, დეპარტამენტის მიერ მოძიებულ იქნა ე.წ გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები დევნილი ბენეფიციარები და დამატებით 0,7 ჰექტარზე გაშენდა თხილის პლანტაცია. ამ პროგრამის ფარგლებში შესყიდული საადრეო ტყემლის ჯიშის 600 ძირი ნერგი, არსებული რთული მდგომარეობის გამო, კანონმდებლობის შესაბამისად, გადაეცათ ე.წ გამყოფი ხაზის მიმდებარე ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბენეფიციარებს და გაშენდა 1,5 ჰექტარი ტყემლის პლანტაცია. აღნიშნული პროგრამით მრავალწლიანი ნარგავები ჯამში გაშენდა 6,5 ჰექტარზე. 2019 წელთან შედარებით გაშენებული სადემონსტრაციო ფართობების რაოდენობა გაიზარდა 3-ჯერ. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს პირველად გაშენდა ინდუსტრიული ჯიშის ნერგებით 0,6- 0,6 ჰა. თხილის პლანტაციები ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონებში (სოფ. ტამიში, სოფ.მუხური);

- მიმდინარეობდა დევნილი მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე იმ მცენარეების აგროტექნიკის შესწავლა, რომელთა მოვლა-მოყვანა განზრახული აქვთ ბენიფიციარებს მათზე რიცხულ მიწის ფართობზე - გოჯი ბერი, ჟოლო, დაფნა და მოცვი;
- დევნილ მეფუტკრეებში და კოოპერატივის „კოდორი 2015“ (გაერთიანებულია 14 პროფესიონალი და დამწყები მეფუტკრე) საფუტკრეებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსასწორებლად 12 მეფუტკრეს ადგილზე ჩასვლით გაეწია რეკომენდაციები და ჩაუტარდა კონსულტაციები პრევენციული და სამკურნალო ღონისძიებების ჩასატარებლად;
- აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე საშიში ინფექციური (ზოონოზური) დაავადებების საწინააღმდეგოდ იმუნიზაციის ჩატარებისა და ეპიზოოტური კეთილსაიმედობის შენარჩუნების მიზნით, პროგრამის ფარგლებში შეძენილ იქნა 25 სახეობის 19 600.0 ლარის ღირებულების ვეტმედიკამენტები, რომელიც მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე გადაეცა 8 ვეტსპეციალისტს, რომლებიც მ.წ. აგვისტოს თვიდან შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე აყვანილ იქნა შინაურ ცხოველთა და ფუტკართა ინვაზიური და სხვა სახის დაავადებათა საწინააღმდეგო გეგმიური და არაგეგმიური, საპროფილაქტიკო-სამკურნალო ღონისძიებების ჩასატარებლად;
- სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს აფხაზეთის რეგიონალური სამმართველოს სპეციალისტებთან ერთად გეგმიური იმუნიზაცია ჩაუტარდა დაავადებათურქულზე (2 700-მდე სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი), ნოდურალურ დერმატიტზე (600-მდე სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი), ცოფზე (1 500-მდე ძაღლი და კატა). საანგარიშო პერიოდში სამკურნალო-პროფილაქტიკური მომსახურება გაეწია 10 000-ზე მეტ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, 1 000 ოჯახამდე ფუტკარს, 150 სულამდე ღორს;

- გაფართოვდა ვეტერინარული სერვისების მიწოდების არეალი, რომელმაც მოიცვა ოჩამჩირისა და ნაწილობრივ ტყვარჩელის რაიონების რიგი სოფლები (ტყვარჩელის რაიონში - რეჩხი, ღუმურიში, ოქუმი, მუხური, ოჩამჩირის რაიონში - გუდავა, აჩიგვარა, შეშელეთი). პროგრამამ ხელი შეუწყომცირე და საოჯახო მეურნეობებში მეცხოველეობის, მეფრინველეობისა და მეფუტკრეობის მიმართულებების განვითარებას, მოსახლეობის მიერ მეცხოველეობისა და მეფუტკრეობის ჯანსაღი და უვნებელი პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ზრდას, ადგილობრივი მოსახლეობის ზოონოზური დაავადებებისაგან დაცვის უფრო მაღალი დონის უზრუნველყოფას, კეთილსაიმედო ეპიზოოტური სიტუაციის შენარჩუნებას. ვეტსპეციალისტთა დროულად და ეფექტურად ჩატარებული სამუშაოების შედეგად დეპარტამენტის მომსახურეობის არეალში საშიშ ინფექციური დაავადებათა კერების გავრცელება დღეის მდგომარეობით არ დაფიქსირებულა. აქედან გამომდინარე, დეპარტამენტის მომსახურეობის არეალი წარმოადგენს ერთ-ერთ უსაფრთხო და კეთილსაიმედო ტერიტორიას ცხოველთა ინფექციური დაავადებათა გავრცელების მხრივ აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

აღსანიშნავია, რომ 2017-2019 წლებში დაფიქსირდა ოკუპირებული გალის რაიონის მოსახლეობის საკუთრებაში არსებული საქონლის სულადობის საგრძნობლად შემცირება, რაც აიხსნებოდა იმ გარემოებით, რომ 2016 წლიდან ,,აზიური ფაროსანას“ გავრცელების შედეგად თხილისა და სიმინდის მოსავლიანობა ოკუპირებულ ტერიტორიაზე შემცირდა დაახლოებით 70-80%-ით და შესაბამისად, მოსახლეობა ელემენტარული ყოფითი პრობლემების მოსაგვარებლად იძულებული გახდა მოეხდინა შინაურ ცხოველთა დაკვლა-რეალიზაცია. თუმცა, 2020 წლისათვის გატარებული ღონისძიებების შედეგად მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობამ დაიწყო დინამიური ზრდა და თითქმის მიაღწია 2016 წლის მაჩვენებელს.



გარდა ამისა, დეპარტამენტის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ იქნა მონიტორინგი ოკუპირებული გალის, ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონების რიგ სოფლებში ახალგაზრდა მოსავლიანი თხილის პლანტაციების ფართობების დასაზუსტებლად, რომელმაც შეადგინა დაახლოებით 1 500 ჰექტარი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ 2020 წლისთვის ოკუპირებული გალის რაიონისა და ნაწილობრივ ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონებში აზიური ფაროსანას საწინააღმდეგოდ ქიმიური ღონისძიებების ჩასატარებლად მრავალწლიან კულტურებზე დაახლოებით 14 500 ჰა-ზე ორჯერადი წამლობისათვის საჭიროა 17 200 ლიტრი ბიფეტრინის შემცველი პრეპარატი. ერთწლიანი კულტურების ერთჯერადი ქიმიური ღონისძიებების ჩასატარებლად დაახლოებით 7 200 ჰა-ზე საჭიროა 2 900 ლიტრი პრეპარატი. სულ აღნიშნულ რაიონებში ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების ქიმიური დამუშავებისათვის საჭიროა 20 100 ლიტრი ბიფეტრინის შემცველი პრეპარატი დაახლოებით 21 700 ჰა-ზე. აღსანიშნავია ამ მიმართულებით მოსახლეობის აქტიური

ჩართულობა, რადგან გატარებული პროგრამული ღონისძიებების შედეგად განვლილ პერიოდთან შედარებით მოსავლიანობა და ხარისხი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, ზრდამ საშუალოდ შეადგინა 75-85%.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 თებერვლის N 374 განკარგულების „ქვეყანაში „აზიურ ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ პროგრამის ფარგლებში, აფხაზეთის ა/რ მთავრობისათვის აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული იყო 20 000 ლიტრი ბიფეტრინის შემცველი ქიმიური პრეპარატი. სახელმწიფო პროგრამის დროულად და ეფექტურად განხორციელების მიზნით, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე წინა წლებში გამოყენებული სქემით უნდა განხორციელებულიყო პრეპარატის გადატანა და პლანტაციების ქიმიურად დამუშავება. კერძოდ, გამოყოფილი პრეპარატის ნაწილი გადაეცემოდა აფხაზეთის ე/წ დე-ფაქტო ხელისუფლებას, ხოლო პრეპარატის ძირითადი ნაწილი აფხაზეთის ა/რ მთავრობის ხელშეწყობით ე/წ ბუფერულ ზონაში გადაიგზავნებოდა დეპარტამენტის მიერ წინასწარ შერჩეული და დატრენინგებულ ზონის ხელმძღვანელების მეშვეობით, რომლებიც მოახდენდნენ ქიმიურად შეწამვლითი სამუშაოების ორგანიზებას. ვინაიდან აფხაზეთის ა/რ მთავრობაზე გამოყოფილი ბიფეტრინის შემცველი ინსექტიციდის გადაცემა მოხდა აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებაზე საკოორდინაციო მექანიზმის (გაეროს განვითარების პროგრამა UNDP პროექტ „დიალოგი“-ის) მეშვეობით დეპარტამენტის ჩართულობის გარეშე, ამ ეტაპზე დეპარტამენტი მოკლებულა ამ პროგრამის ოკუპირებულ ტერიტორიაზე განხორციელების შესაძლებლობას. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, დეპარტამენტის სპეციალისტებს აქვთ ყოველდღიური სატელეფონო და ონლაინი კომუნიკაცია ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობასთან, ასევე ზონის ხელმძღვანელებთან. დეპარტამენტის მიერ მოპოვებული ინფორმაციით აგვისტოს პირველ ნახევარში ოჩამჩირის ტყვარჩელისა და გალის რაიონში გაჩნდა მეორე გენერაციის „აზიური ფაროსანას“ ნიმფები, რომლის ლოკალიზება აუცილებელი იყო ქიმიური ჩარევით, რაც მომავალი წლისთვის ფაროსანას გავრცელების არეალს მნიშვნელოვნად შეამცირებდა. საქართველოს მთავრობის მიერ აფხაზურ მხარეზე გადაცემული ქიმიური პრეპარატით, როგორც პირველი გენერაციის, ასევე მეორე გენერაციის საწინააღმდეგო ქიმიური შეწამვლითი ღონისძიებები არ ჩაუტარებია, როგორც მრავალწლიან ნარგავებში, ასევე ერთწლიან კულტურებში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსალოდნელია მომავალ წელს „აზიური ფაროსანას“ მასიური გავრცელება, რაც ასევე საფრთხეს შეუქმნის სამეგრელოს რეგიონს. მოწოდებული ინფორმაციით, რიგ სოფლებში მრავალწლიან მცენარეებზე დაფიქსირდა ამერიკული თეთრი პეპელას აბლაბუდა, ასევე გავრცელებულია სოკოვანი და ბაქტერიალური დაავადებები, რომლის შესახებ ინფორმირებულ იქნა საქართველოს სურსათის ეროვნული სააგენტო. 2020 წლის სექტემბრის პერიოდში დეპარტამენტის ორმა პროფესიულმა საჯარო მოხელემ სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საბაზისო პროგრამის ფარგლებში გაიარა სასწავლო კურსი მოხელისანგარიში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო სტრუქტურების მიერ 2020 წლის 9 თვეში გატარებული ღონისძიებების შესახებ 34 პროფესიული განვითარებისათვის თემაზე ,,პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარება.“ სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სხვა უწყებებთან ერთად დეპარტამენტის სპეციალისტები მონაწილეობას იღებდნენ იგპ-თა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროექტების განხორციელების ორგანიზებასა და სამინისტროს მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ აქტივობებში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს მთავრობის მიერ Covid-19 ვირუსის პრევენციის გამო საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდგომ და აფხაზეთის ა/რ მთავრობის რეკომენდაციების

გათვალისწინებით დეპარტამენტის რიგი თანამშრომელი გადავიდა დისტანციურ მუშაობაზე, რომლის დროსაც დეპარტამენტში საჭიროების მიხედვით დადგინდა მორიგეობა, აღნიშნულ პერიოდში დეპარტამენტის პროფესიულ საჯარო მოხელეებმა გადაინაწილეს საერთო საქმიანობიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობები და ნაწილი on-line რეჟიმით და საჭიროების შემთხვევაში ნაწილი მორიგეობით სამსახურში გამოცხადებით (დაავადების პრევენციისათვის დადგენილი საჭირო რეკომენდაციების სრული დაცვით) ასრულებს თავის მოვალეობას. ზემოთ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში დეპარტამენტს არ შეუჩერებია თავისი საქმინობა.

აგრარულ და დარგობრივ საკითხთა სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებას წარმოადგენდა იგპ-თა მიერ ინიცირებული პროექტების სრულყოფა და განხორციელების ხელშეწყობა; კონსულტაციების გაწევა სხვადასხვა სახის პროექტების განსახორციელებლად.

ამ მიზნით კონსულტაციები გაეწია:

ბენეფიციარი	ადგილმდებარეობა	პროექტი
ი/მ გიორგი რაფავა	ს. კახათი	დაფნის საკუთარი საწარმოს გაფართოება
ი/მ ლაშა სამუშია	ხობი	მექანიკური საამქროს გაფართოება
დევნილთა საინიციატივო ჯგუფი	მარნეულის რაიონი, ,,პობედას“ დას.	მეცხოველეობის განვითარება
ი/მ მარიკა გოგოხია ი/მ მარი ჯანელიძე	ქ. თბილისი, დიღომი	ხურმის საშრობი საწარმოს სრულყოფა და გაფართოება
ი/მ ია ხარჩილავა	ქ, თბილისი, სანზონის დასახლება	სამკერვალო საამქროს გაფართოება
ი/მ იური ბებია	ს. აღაიანი	მეცხოველეობის განვითარება
კობა კურდღელია	სენაკის რაიონი	მედაფნეობის განვითარება
ი/მ ნინო მიქაუტაძე	ქ. თბილისი	ლოკოკინის ფარმაცევტიკაში და კოსმეტიკაში გამოყენება
ი/მ ნოდარ თოფურია	ქ. თბილისი	ინფრაწითელი სხივებით შრობის მეთოდი

შემუშავდა უალკოჰოლო სასმელების წარმოების პროექტები, რომელთა მიმართ გარკვეული დაინტერესება გამოიჩინეს აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მომუშავე ბიზნესმენებმა. დამყარდა ურთიერთობები ქართველ მეწარმეებთან, რომელთაც აღადგინეს პანდემიამდე დამყარებული კავშირი აფხაზ მეწარმეებთან. საკითხი გულისხმობს რეცეპტურით უალკოჰოლო სასმელების ერთობლივი წარმოების მოწყობას აფხაზეთში. მიმდინარეობს მუშაობა პროექტის განხორციელების დეტალებზე.

ინიცირებულ და შედგენილი იქნა:

- საგანმანათლებლო პროგრამა სამოქმედო გეგმით „სოფლის მეურნეობისა და მისი დარგების პოპულარიზაცია აფხაზეთის საჯარო სკოლის მოსწავლეებში“, რომლის მიზანია მეტი ახალგაზრდის მოზიდვა აგრარულ სფეროში;
- დამწყებ ფერმერთათვის სარეკომენდაციო სახის ბუკლეტები - „ხილის შრობა“, „ცუკატების წარმოება“, „ხილის ჩირებისა და კენკროვანი კულტურების გადამუშავება“ და „დაფნის საწარმო“, სადაც დაწვრილებითაა გაწერილი ყველა ტექნოლოგიური ოპერაცია და წარმოების დეტალები. გაკეთდა საწარმოს ნახაზები და სამშენებლო საქმიანობის ხარჯთაღრიცხვა.

სამსახურების დისტანციურ მუშაობაზე გადასვლის პერიოდიდან განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში პრიორიტეტებისა და სამოქმედო გეგმის არსებულ სიტუაციაზე მორგება. კერძოდ, ძირითად პრიორიტეტებად დასახულ იქნა იგპ-თათვის გრანტებისა და შეღავათიანი კრედიტების მოძიებაში ხელშეწყობა ძირითადად

მესაქონლეობის, მეფრინველეობის, მეკურდღლეობისა და ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების წარმოების, სანერგე და საჩითილე მეურნეობის განვითარებისათვის, ანუ ისეთი მიმართულებების მხარდაჭერა, რომლებიც კვების პროდუქტთა წარმოებაზე არიან ორიენტირებული. ამასთან ერთად, სამსახურის მიერ შემუშავებულ იქნა ბოსტნეული კულტურების მოვლა-მოყვანის პრაქტიკული რეკომენდაციები იგპ-თა ფაქტიური საცხოვრებელი ფართების პირობებში, რამაც ხელი უნდა შეუწყოს საკუთარი საარსებო წყაროს მოძიებაში მრავალ ადამიანს. შემუშავდა საინფორმაციო ბიულეტენი, რომელშიც თავმოყრილია საქართველოს მთავრობის მიერ შემოთავაზებული შეღავათები მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობების განვითარების მსურველთათვის.

საანგარიშო პერიოდში სამსახური მუდმივად აკვირდებოდა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებს და მის ხელთ არსებულ მონაცემთა ბაზის საფუძველზე ცდილობდა ისეთ ბენეფიციართა გამოვლენას, რომლებიც აკმაყოფილებენ ინვესტორთა მოთხოვნებს. აღნიშნული საქმიანობით მოკლე პერიოდში გამოვლენილ იქნა რამდენიმე ადამიანი, რომლებიც აკმაყოფილებდნენ საერთაშორისო ორგანიზაცია GRETA”-ს წაყენებულ კრიტერიუმებს ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.

საერთაშორისო ორგანიზაციაში GRETA გრანტის მოსაპოვებლად განაცხადი შეიტანეს:

ბენეფიციარი	რეგიონი	თემა
მეწარმეთა 5-კაციანი ჯგუფი	ზემო სვანეთი, სოფ. უშგული	ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარება - ხორბლის მოყვანა 68 ჰა ფართობზე, აგრეთვე მარცვლის გადამამუშავებელი საწარმოს და პურსაცხობის ქარხნის მოწყობა
მარინა გურჩიანი	ზემო სვანეთი, სოფ. უშგული	ორგანული სასოფლო-სამეურნეო ბოსტნეულის წარმოება - კარტოფილი, ბოსტნეული

მიმდინარეობდა იმ იგპ-თა იდენტიფიცირება, რომლებსაც გააჩნდათ 0.5 ჰა და მეტი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები შესაძლო პროექტების განხორციელების მიზნით.

კონსულტაცია გაეწიათ:

ბენეფიციარი	თემა
კობა კურდღელია	სენაკის რაიონში 2 ჰა ფართობზე დაფნის კულტურის განვითარება
ნინო მიქაუტაძე	ლოკოკინის ფარმაცევტიკაში და კოსმეტიკაში გამოყენება
ნოდარ თოფურია	ინფრაწითელი სხივებით შრობის მეთოდი; საშრობი დანადგარის შეძენა

გარდა ამისა, სამსახური მონაწილეობდა დევნილთათვის დროებით სარგებლობაში ადრე გადაცემული სახელმწიფო ქონების, კერძოდ სასათბურე კონსტრუქციების მიზნობრივი გამოყენების საკითხის გარკვევაში. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქვედა ზონის მიმდებარე სოფლებში განხორციელდა 21 სასათბურე მეურნეობის დათვალიერება, ფოტოგადაღება და დეტალური ამსახველი სურათის წარმოდგენა.

სსიპ დევნილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების სააგენტოს მიერ 2020 წლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში 3 მიზნობრივი პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაზე გათვალისწინებული იყო თანხა 61 400.0 ლარის ოდენობით:

კოლხური ბზის გადარჩენის ღონისძიებების ფარგლებში საბაზისო	25 000.0 ლარი
სანერგე მეურნეობის ფუნქციონირება და დევნილი ახალგაზრდებისათვის ეკოსაგამანთლებლო სივრცის მოწყობა	

დევნილთა კოლექტიურ ცენტრში კეთილმოწყობისა და გამწვანების ღონისძიებები	6 400.0 ლარი
მაღალეფექტური მრავალწლიანი კენკროვანი კულტურის (ლურჯი მოცვი) წარმოების განვითარების ხელშეწყობა	30 000.0 ლარი

კორონავირუსის COVID-19 გავრცელების პრევენციისათვის შემოღებულმა საგანგებო მდგომარეობამ წარმოშვა საქმიანობის პრიორიტეტების გადახედვის საჭიროება. შესაბამისად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტში შევიდა ცვლილება, რომლის შედეგად დაკორექტირდა მიმდინარე პროგრამები და დამტკიცდა დამატებით 6 ახალი პროგრამა საერთო ღირებულებით 830 089,0 ლარი:

კოლხური ბზის გადარჩენის ღონისძიებების ფარგლებში საბაზისო სანერგე მეურნეობის ფუნქციონირება და დევნილი ახალგაზრდებისათვის ეკოსაგამანთლებლო სივრცის მოწყობა	7 000.0 ლარი
დევნილთა კოლექტიურ ცენტრში კეთილმოწყობისა და გამწვანების ღონისძიებები	5 450.0 ლარი
მაღალეფექტური მრავალწლიანი კენკროვანი კულტურის (ლურჯი მოცვი) წარმოების განვითარების ხელშეწყობა	75 000.0 ლარი
დევნილთა მოწყვლადი ჯგუფების დახმარება	441 860.0 ლარი
დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა ერთწლიანი კულტურების წარმოების გზით	18 980.0 ლარი
დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა და მათი ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდა მრავალწლიანი კულტურის წარმოება-რეალიზაციის შედეგად	50 250.0 ლარი
,აფხაზეთიდან დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა ერთწლიანი კულტურების წარმოების გზით	129 700.0 ლარი
„დევნილთა დასაქმების ხელშეწყობა, დაფნის პირველადი გადამუშავების საამქროს მოწყობა-ფუნქციონირების შედეგად“	65 849.0 ლარი
„დევნილთა საარსებო წაყროებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა მარტივი ტიპის სათბურების რეაბილიტაცია-ფუნქციონირების გზით“	25 000.0 ლარი
სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა ,,ახალი კორონავირუსის (COVID-19) საპრევენციო ღონისძიებების ხელშეწყობა	11 000.0 ლარი

გარდა ამისა, სააგენტოს სარგებლობაში არსებული ფართების - თამარაშვილის N15ა-ს ნახევარსარდაფი და ყაზბეგის N42 საოფისე ფართი-რეაბილიტაციისათვის გამოყოფილ იქნა 157 000,0 ლარი.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა:

- პროგრამის *,,დევნილთა მოწყვლადი ჯგუფების დახმარება“* ფარგლებში კოლექტიურ ცენტრებში მცხოვრები მაღალი რისკ ჯგუფში შემავალი 70 წელს ზემოთ პირების დახმარების მიზნით გამოყოფილ იქნა 450 000.0 ლარი. შეძენილ იქნა 9 000 სასურსათო კალათა და საადგომო ნობათი, რომლის განაწილება საქართველოს მასშტაბით განახორციელა აფხაზეთის ა/რ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტრომ.

დასახელება	რაოდენობა	ერთ. ფასი	სულ
სასურსათო კალათა	9 000	36.05	324 150.0
სააღდგომო ნობათი	9 000	9.0	81 000.0
ტრანსპორტირება			7 600.0
შესაფუთი მუყაოს ყუთები			2 635.0
სპეცჟილეტები			600.0
პოლიეთილენის პაკეტები			240.0
ჟილეტებზე ბეჭდვა, კეპები, სტიკერები			1 460.0
სულ ხარჯი			*417 985.0*

ამავე პროგრამის ფარგლებში, თურქეთის თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოს (TIKA TIFLIS) მიერ გამოყოფილი ჰუმანიტარული ტვირთის - 20 ტონა პურის ფქვილის და შესაბამისი ინგრედიენტების მეშვეობით განხორციელდა კომპაქტურად ჩასახლებული დევნილი მოსახლეობისათვის 60 ათასი პურის ცხობა და გადანაწილება ქ. თბილისში განთავსებულ დევნილთა 43 კოლექტიურ ცენტრში. აღსანიშნავია, რომ ცხობა განხორციელდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. ვაზიანში ამავე სააგენტოს მიერ მოწყობილ პურის საცხობში შპს „ელ-გამას“ მიერ. პროგრამის ბენეფიციარი იყო 8 000 დევნილი ოჯახი.

- პროგრამის *„დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა ერთწლიანი კულტურების წარმოების გზით“* ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. რიყეში შემოიღობა და დამუშავდა სააგენტოს ბალანსზე არსებული 8 ჰა მიწის ფართობი, დაითესა სიმინდი. პროგრამის ბენეფიციარი იყო 7 დევნილი ოჯახი. მიღებულ იქნა 18 ტონამდე მოსავალი, რომელიც გარდა ზემოთაღნიშნული 7 ოჯახისა გაუნაწილდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 26 დევნილ ოჯახს;
- პროგრამის *„აფხაზეთიდან დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა ერთწლიანი კულტურების წარმოების გზით"* ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ზემო ქვალონში შემოიღობა სააგენტოს ბალანსზე არსებული 18 ჰა მიწის ფართობი, დამუშავდა 10 ჰა და დაითესა სიმინდი. დასაქმდა 3 დევნილი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოვლა-პატრონობის სამუშაოები, რომელსაც ახორციელებს ტენდერში გამარჯვებული შპს „აგროფუმი“. დაგეგმილია დაახლოებით 25-30 ტონა სიმინდის მოსავლის აღება;
- პროგრამის *„მაღალეფექტური მრავალწლიანი კენკროვანი კულტურის (ლურჯი მოცვი) წარმოების განვითარების ხელშეწყობა“* ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ზემო ქვალონში შემოიღობა 30 ჰა მიწის ფართობი, მოცვის გაშენებისათვის დამუშავდა 10 ჰა. ამჟამად გრძელდება ინფრასტრუქტურული სამუშაოები. დასაქმდა 3 ბენეფიციარი. ამ ეტაპზე პროგრამის პარტნიორი „მედერი“ ახორციელებს ლურჯი მოცვის დარგვის მოსამზადებელ სამუშაოებს;
- პროგრამის *„დევნილთა დასაქმების ხელშეწყობა, დაფნის პირველადი გადამუშავების საამქროს მოწყობა-ფუნქციონირების შედეგად“* ფარგლებში დაგეგმილი იყო ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ხამისქურში დაფნის პირველადი გადამუშავების საამქროს მოწყობისათვის ამორტიზირებული შენობა-ნაგებობის რეაბილიტაცია. მომზადდა საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაცია, აღებულ იქნა სამშენებლო ნებართვა. ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ „ალფა-8“ შეასრულა სატენდერო პირობები და დასრულდა შენობა-ნაგებობის რეაბილიტაცია. ამჟამად მიმდინარეობს კონსულტაციები კოოპერატივ „ლავრ-ჯორჯია“-სთან, რომელიც უზრუნველყოფს საამქროს სამუშაო აღჭურვილობის შეძენას და 10-მდე დევნილის დასაქმებას.შენობა-ნაგებობის იჯარით გაცემის შემდგომ ყოველწლიურად იჯარის სახით ბიუჯეტში შემოვა დაახლოებით 10-12 ათასი ლარი;

- პროგრამის *„დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა და მათი ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდა მრავალწლიანი კულტურის წარმოება-რეალიზაციის შედეგად“* ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ხამისქურში სააგენტოს ბალანსზე არსებულ მიწის ფართობზე მიმდინარეობს დაფნის სანერგის მოწყობის სამუშოები. გაფორმდა ხელშეკრულება. ამ ეტაპზე დასრულდა სამონტაჟო სამუშაოები, რომელიც გულისხმობდა წყლისა და დაწვიმების სისტემების გამართვას. დაიწყო დაფნის თესლის ჩათესვის სამუშაოები. პროგრამის განხორციელების შედეგად დაგეგმილია ყოველწლიურად 80 000-მდე დაფნის ნერგის გამოყვანა;
- პროგრამის *„დევნილთა კოლექტიურ ცენტრში კეთილმოწყობისა და გამწვანების ღონისძიებები“* ფარგლებში 2019 წლის ბოლოს შეძენილი კარკასული აუზისათვის მოეწყო საძირკველი, გაკეთდა საშხაპე, მოეწყო წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის ქსელი. პროგრამა შესრულებულია;
- *,,კოლხური ბზის გადარჩენის ღონისძიებების ფარგლებში საბაზისო სანერგე მეურნეობის ფუნქციონირება და დევნილი ახალგაზრდებისათვის ეკოსაგანმანათლებლო სივრცის მოწყობა“* ფარგლებში განხორციელდა კოლხური ბზის ნერგების გამოყვანა;
- *„დევნილთა საარსებო წაყროებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა მარტივი ტიპის სათბურების რეაბილიტაცია-ფუნქციონირების გზით“* ფარგლებში ზუგდიდისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის რეგიონებში მცხოვრები 10-მდე დევნილი ფერმერი, რომელიც დაკავებულია სასათბურე ბიზნესით, მიიღებს სასათბურე ფირსა და დამჭერ პროფილებს;
- *„ახალი კორონავირუსის (COVID-19) საპრევენციო ღონისძიებების ხელშეწყობა“* ფარგლებში სამეგრელოში განთავსებული აფხაზეთის პოლიკლინიკებიდან მოხდა მომსახურების შესყიდვა, რომელიც ითავალისწინებდა აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსული ჩვენი მოქალაქეების და რეგიონში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილთა მომსახურებას.

სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 10 000 ლარით კორონავირუსის პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში შესყიდულ იქნა 10 000 პირბადე.

დაიწყო სააგენტოს სარგებლობაში არსებული ფართების (თამარაშვილის 15ა-ს ნახევარსარდაფი და ყაზბეგის N42 საოფისე ფართი) რეაბილიტაცია. ტენდერში გამარჯვებული კომპაქნიები ახორციელებენ სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებს. გარდაბნის რაიონის სოფ. ვაზიანში N1 სამხედრო დასახლებაში თურქეთის კოორდინაციისა და თანამშრომლობის სააგენტოს TIKA მიერ რეაბილიტირებულ შენობაში მოეწყო საცხობი და სოციალური სააგენტო, რომელიც იჯარით არის გაცემული შპს ,,ელგამაზე“ და ყოველთვიურად საიჯარო გადასახადის სახით შემოდის 650,0 ლარი. შპს „ელგამა“-მ პანდემიის პირობებში ვერ გაართვა იჯარით აღებული ვალდებულებების შესრულებას თავი და ორმხრივი შეთანხმებით მოხდა ხელშეკრულების გაწყვეტა. 2020 წლის დეკემბერში სააგენტომ გამოაცხადა ელექტრონული აუქციონი, რომელშიც გამარჯვებულ კომპანიასთან შპს „კალა“ გაფორმდა ხუთწლიანი ხელშეკრულება.

აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - ინფრასტრუქტურისა და დარგობრივ საკითხთა დეპარტამენტის მიერ საანგარიშო პერიოდში შემუშავდა და წარმოდგენილ იქნა კომპაქტურად ჩასახლებული დევნილების საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად ჩასატარებელი სამუშაოების სავარაუდო ღირებულებები რეგიონების მიხედვით. დადგენილ იქნა ის ობიექტები, რომელიც მოითხოვდა გადაუდებელ სარემონტო-სარეაბილიტაციო

სამუშაოების ჩატარებას. გაკეთდა საპროექტო სამუშაოები, შედგენილ იქნა დეფექტური აქტები და ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა შემდეგ ობიექტებზე:

ობიექტი	სამუშაო	ღირ-ბა, ლარი
გარდაბნის რ-ნი, სოფ. ვაზიანის დასახლება	პურსაცხობის, საკვები და სოც.დარბაზის შენობის სანიტ.-ტექნ. მდგომარეობის სახანძრო უსაფრთხ. მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გასათვალისწ. ღონისძიებები	14 941,0
ხობის მუნიციპალიტეტის ს. ქვალონი	აგროსერვისის ცენტრის სატრაქტორო პარკის ესკიზური პროექტი და ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა	67 717,0
თბილისი, გლდანის მე-7 მ/რ (ყოფ. 120-ე ბაგა-ბაღი), ზურა მირაქიშვილის ქ.	დევნილთა კორპუსის ბრტყელი სახურავის სარემონტო სამუშაოების დეფექტური აქტი და ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა	23 154,0
ზუგდიდის რ-ნი სოფ ახალსოფელი ყოფილი ჩაის ფაბრიკის ბინები	მეტალოპლასტმასის ფანჯრების დაყენება ფერდების შელესვით მდფ-ის კარი	34 717,0
რუსთავი, ბოსტანქალაქის N1	3-სართულიანი სახლის სარემონტო სამუშაოები	18 746,0
ფოთი, ვატო ვაჩნაძის ქ. 24 ყოფილი საბავშვო ბაღის შენობა	სახურავის რემონტი პარაპეტის დაფარვა თუნუქით	10 298,0
თბილისი, ც. დადიანის N134ა (ყოფ. რკინიგზის პროფ. სასწავლ.)	კორპუსის სველი წერტილების მონტაჟი და სარემონტო სამუშაოები	19 952,0
თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N89/24, მე-13 სართ.	აღმ. საქართველოში აფხაზეთის ა/რ მთავრობის წამომადგენლობის ოფისის სარემონტო სამუშაოები	23 342,0
თბილისი, თამარაშვილის N15ა	აფხაზეთიდან იგპ-თა პოლიკლინიკისათვის სამშენებლო სამუშოების ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა	319 533,0
თბილისი, თამარაშვილის N15ა	ა(ი)პ აფხაზეთის ა/რ საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრის ოფისის სარემონტო სამუშაოების მოსაწყობად ესკიზური ნახაზი, დეფექტური აქტი და ხარჯთაღრიცხვა	4 950,0
თბილისი, ჭავჭავაძის ქ. იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზთის ა/რ მინისტრის აპარატი	ოფისის რეკონსტრუქციის პროექტი, დეფექტური აქტი და ხარჟთაღრიცხვა	104 834,0
ქუთაისი სოხუმის ქუჩა ყოფილი საბავშვო ბაღის ორი შენობა	(20.0X.14.0) სახურავის რემონტი	4 490,0
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იგპ-თა - დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემული 17 ობიექტი ქ. თბილისის სხვადასხვა რაიონებში	გადაუდებელი სარმონტო სახის სამუშაოების დეფექტური აქტი და ხარჯთაღრიცხვა	30 357,0
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იგპ-თა - დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემული 4 ობიექტი, მ.შ. ქუთაისში 2 ობიექტი, ზუგდიდში - 1 ობიექტი, ფოთში - 1 ობიექტი	სარემონტო-აღდგენითი სახის სამუშაოების დეფექტური აქტები და შესაბამისი ხარჯთაღრიხცვა	50 966,0
ბორჯომი, მესხეთის ქ. 133	წყლის შემკრები გაწმენდის სმუშაოები	700
თბილის, ვაჟა-ფშაველას გამზ.	სველი წერტილების მოწყობა	15 456,0

ობიექტი	სამუშაო	ღირ-ბა, ლარი
უმაღლესი საბჭოს მე-6 სართ.	საკონფერენციო დარბაზის რეკონსტრუქცია	8 887,8
თბილისი, ყაზბეგის 42	აფხაზეთის ა/რ ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართულის სარემონტო სამუშაოები	25 742,0
რუსთავი, კოსტავას 35, იგპ-თა კომპაქტ. ჩასახლ. კორპუსი	სველი წერტილებისა და სადარბაზოს მოწყობა	22 233,3

სულ საანგარიშო პერიოდში გაკეთდა 50-მდე ობიექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 1 მილიონი ლარი. ზემოხსენებული ობიექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია გადაეცა დამკვეთ ორგანიზაციებს.

საანგარიშო პერიოდში ***აფხაზეთის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატის*** საქმიანობის განსაზღვრულ პრიორიტეტებს წარმოადგენდა:

- მცირე და საშუალო მეწარმეების საქმიანობის მხარდაჭერა, ახალი საწარმოებისა და სამუშაო ადგილების შექმნა, კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობა;
- საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება
- ოკუპირებული აფხაზეთის გამყოფი ხაზების ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის თანამშრომლობისა და ნდობის მშენებლობისათვის, ერთობლივი წარმოებისა და პარტნიორული პროექტების მხარდაჭერა;
- პანდემიის პირობებში მეწარმეთა ეკონომიკური საქმიანობის მხარდაჭერა, არსებულ გარემოსთან ადაპტაცია (ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაცია) და შემდგომი განვითარება;
- კვლევა კორონავირუსით (Covid 19) გამოწვეული პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით;
- მეწარმეებისათვის ახალ ბიზნესიდეებისა და მზა პროექტების შეთავაზება ახალი ბიზნესების წამოწყებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით;
- მულტიფუნქციური საწარმოს შექმნა, დევნილთა მეწარმეობის მხარდაჭერის მიზნით.

პალატა თანამშრომლობდა აფხაზეთის ა/რ მთავრობასთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან, სხვადასხვა ბიზნეს გაერთიანებებთან და არასამთავრობო სექტორთან, უზრუნველყოფდა გამოფენებში დევნილების მონაწილეობას. თბილისის მერიის დახმარებით დაეხმარა აფხაზეთიდან დევნილ მეწარმეებს მონაწილეობა მიეღოთ საახალწლო სოფლის ბაზრობაში, სადაც იგპ-ებმა შეძლეს წარმოდგენილი ხელნაკეთი პროდუქციის რეალიზაცია.

ალტერნატიული ფინანსური წყაროების მოძიების მიზნით პალატა მეწარმეებსა და დევნილებს უწევდა ბიზნეს კონსულტაციებს, ეხმარებოდა ბიზნეს გეგმების შედგენასა და საგრანტო კონკურსებში პროექტების წარდგენაში, უზრუნველყოფდა მეწარმეთა მონაწილეობას ტრენინგებსა და სემინარებში. კერძოდ:

- ტრენინგი საგანმანათლებლო პროექტის ,,დაიწყე და განავითარე შენი ბიზნესი“ - შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია საქართველოს დამსაქმებლეთა ასოციაციასთან, სააგენტო ,,აწარმოე საქართველო“, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან, სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოსთან და ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან პარტნიორობით. ტრენინგი ჩატარდა რუხია ინოვაციების ცენტრში;
- ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლა USAID-ის პროგრამის ,,ახალგაზრდების და ქალთა მეწარმეობის მხარდაჭერა საქართველოში“ (YES-Georgia) ფარგლებში.

- საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში ,,დაიწყე და განავითარე შენი ბიზნესი" ჩატარდა ტრენინგი, საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO) საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციასთან, სააგენტო "აწარმოე საქართველოსთან", საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსთან, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოსთან და ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან პარტნიორობით. ტრენინგი ჩატარდა რუხის ინოვაციების ცენტრში;
- პალატის ორგანიზებითა და იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის ჩართულობით აფხაზეთიდან იგპ-თა საწარმოებისა და მათი ბუღალტრებისათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე ,,მე-4 კატეგორიის საწარმოების ფინანსური აღრიცხვის სტანდარტები". ტრენინგის დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები;

გაფორმდა მემორანდუმები:

- იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატთან;
- შპს ,,ბიზნეს ვენიუსთან";
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან - დამამთავრებელი კურსის სტუდენტები სტაჟირებას გაივლიან დევნილი მეწარმეების მიერ დაფუძნებულ საწარმოებში. გაიმართა პროგრამის ,,სტაჟირება დევნილი სტუდენტებისათვის", რომელიც ტრანსლირდებოდა პირდაპირი ეთერით.

მეწარმე ქალების სამეწარმეო უნარ-ჩვევებისა და დასაქმების მხარდაჭერის მიზნით გაფორმდა ხელშეკრულება დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნების სპეციალისტთან ბატიკის, გობელენისა და თექის მიმართულებით.

კორონავირუსის გავრცელების შედეგად ქვეყანაში არსებული კრიზისული სიტუაციიდან გამომდინარე, პალატამ დაიწყო მუშაობა ბიზნეს გეგმაზე - აფხაზეთიდან დევნილი მეწარმეების საქმიანობის მხარდჭერის მიზნით ინტერნეტ მაღაზიის შექმნა, რათა პანდემიის პირობებში არ შეფერხდეს მეწარმეთა ეკონომიკური საქმიანობა. ამგვარი შეთავაზების ფარგლებში მეწარმეები შეძლებენ ონლაინ მაღაზიის tutashop-ge-ს საშუალებით პროდუქციის გაყიდვა/მიწოდებას საქართველოს მასშტაბით. აეწყო ვებ-გვერდი, ჩაშენდა თიბისის ონლაინ გადახდის სისტემა.

აფხაზეთის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატა ჩაერთო საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ დაწყებულ კვლევაში ბიზნესში COVID-19-ით გამოწვეული პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით, გამოიკითხა აფხაზეთიდან დევნილი მეწარმეების მიერ დაფუძნებული 100-მდე კომპანიის წარმომადგენელი.

საანგარიშო პალატა მეწარმეებს მუშაობდა შემდეგ ბიზნეს პროექტებზე:

- კორონავირუსის (Covid 19) გავრცელების შედეგად ქვეყანაში არსებული კრიზისული სიტუაციიდან გამომდინარე, აფხაზეთის ა/რ სავაჭრო სამრეწველო პალატამ დაიწყო მუშაობა ბიზნეს გეგმაზე. კერძოდ, აფხაზეთიდან დევნილი მეწარმეების საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით, ინტერნეტ მაღაზიის შექმნაზე, რათა პანდემიის პირობებში არ შეფერხდეს მეწარმეთა ეკონომიკური საქმიანობა. ამგვარი შეთავაზების ფარგლებში, მეწარმეებს შეეძლებათ **ონლაინ მაღაზიის tutashop.ge-ეს** საშუალებით პროდუქციის გაყიდვა და მიწოდება მთელი საქართველოს მასშტაბით;
- აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელებული აცთენტური ვაზის ჯიშების მოძიება, აღდგენა და პოპულარიზაცია. დაფინანსების შემთხვევაში იგეგმება სადემონსტრაციო მეურნეობის შექმნა და ვაზის ჯიშების აღდგენასთან დაკავშირებული შემეცნებითი ტრენინგების ორგანიზება. აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს ოკუპაციის შედეგად შექმნილი გამყოფი ხაზებით დაშორიშორებული მოსახლეობის ურთიერთობათა აღდგენა-გაღრმავებას;

- ერთჯერადი ლატექსის ხელთათმანების წარმოება;
- სასათბურე მეურნეობის შექმნა;
- ტრადიციული მეთოდით და თანამედროვე სტანდარტებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით მავნე ეთერზეთების გარეშე ბიოლოგიურად და ეკოლოგიურად სუფთა ჭაჭის წარმოება;
- ტრადიციული მეთოდით და თანამედროვე სტანდარტებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით თიხის ნაკეთობების წარმოება (მეთუნეობა);
- ავეჯის საწარმოს გახსნა დასავლეთ საქართველოში, საწარმოს ბაზაზე სწავლება დუალური მეთოდის გამოყენებით;
- დაიგეგმა და დაიწერა პროექტი „სარეკლამო რგოლის გადაღება წარმატებული მეწარმეების შესახებ“, რომლის ფარგლებში დამზადდება სარეკლამო რგოლი 10 წარმატებული მეწარმის შესახებ. აღნიშნული სარეკლამო რგოლი დევნილ მეწარმეებს მისცემს საშუალებას, რომ მიიღონ ინფორმაცია თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების, ახალი იდეებისა და კონცეფციების შესახებ. ასევე რეკლამა ხელს შეუწყობს მასში მონაწილე მეწარმეების საქმიანობის პოპულარიზაციას;
- ჩატარებულ კვლევაზე დაყრდნობით დაიწყო პროექტის „ბიზნეს იდეიდან - ბიზნესამდე“ შემუშავება, რომელიც მიზნად ისახავს დევნილებისთვის საგრანტო პროექტების მოძიებაში დახმარებას. პროექტის ფარგლებში დევნილებს მიეცემათ შესაძლებლობა ისწავლონ ბიზნესგეგმის შედგენა და საგრანტო განაცხადის დონორებისათვის სწორად წარდგენა, რაც გაზრდის ფინანსურ რესურსებზე წვდომის ალბათობას. ტრენინგები სამ ძირითად მიმართულებისაგან იქნება შემდგარი, სადაც ტრენერ-მასწავლებლები წარმოადგენენ იმ დონორებისა და პროექტების სიას, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება დევნილებისათვის. სწავლება მიმართული იქნება დევნილების ინფორმირებულობისა და საგრანტო პროექტებში ჩართვისკენ.

<u>სხვა აქტივობები</u>

- პალატა GRETA-ას ადგილობრივი განვითარების ინიციატივის (მწვანე პოლიტიკის) განვითარების ფარგლებში დახმარება გაეწია აფხაზეთიდან დევნილ მარიამ გურჩიანს პროექტის შედგენასა და წარდგენაში. დაფინანსების შემთხვევაში პროექტი განხორციელდება მესტიაში, სოფელ ეწერში. მეწარმეს აღნიშნული საქმიანობის განსახორციელებლად აქტივში გააჩნია მატერიალური რესურსი - სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1,3 ჰა მიწის ფართი, სადაც წლების განმავლობაში მოჰყავდა სვანური წითელი ჯიშის კარტოფილი, ხოლო მცირედი დაფინანსების შემთხვევაში მოაწყობს სასათბურე მეურნეობას, ე.წ. „მიტლაიდერის“ მეთოდით გააშენებს სათბურს. ამ მეთოდით მოყვანილი კარტოფილი წარმოადგენს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას;
- იწყება მუშაობა მულტიფუნქციური სოციალური საწარმოს დაფუძნების პროექტზე. მულტიფუნქციურ სოციალურ საწარმოში დევნილ მეწარმეებს, რომლებიც სახლის პირობებში ამზადებდნენ პროდუქციას და ადგილობრივ ბაზარზე ახდენდნენ მის რეალიზაციას, მიეცემათ შესაძლებლობა წარმოდგენილი პროდუქცია შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას (საქონლის შენახვა, გადაზიდვა, შეფუთვის სტანდარტები, სურსათის უვნებლობის ნორმებსა და სანიტარულ-ჰიგიენურ წესები). არსებულ მულტიფუნქციურ საწარმოში შესაძლებელი იქნება სასურსათო პროდუქციის (ყველი, ხორცი, თევზი) ვაკუუმით შეფუთვა); ალკოჰოლური სასმელების ჩამოსხმა, დასაცობება, ბრენდირება, ეტიკეტირება; სხვადასხვა სახის სუნელ-სანელებლების დაფასოება, შეფუთვა; წნილის, საწებლის (ტყემალი, პომიდორი), აჯიკის, ჯემის, მურაბის, თაფლის დაფასოება, შეფუთვა; ციტრუსის, კენკრის, ჯანჯაფილის, პიტნის და სხვა ნატურალური ნედლეულისგან დამზადებული ჩაის საწარმოო წესით დაფასოება,

შეფუთვა, ეტიკეტირება; ჩირისა და ცუკატების წარმოება, დაფასოება, შეფუთვა, ეტიკეტირება.

ფონდის ***ა(ა)იპ საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის*** საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენდა:

- აფხაზეთიდან დევნილთა დახმარება მეწარმეობის განვითარებისა და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაში;
- ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- დასაქმება და სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- ადვოკატირება და კონსულტირება

საანგარიშო პერიოდში ფონდის მიერ განხორციელებული საქმიანობა:

- შეიქმნა ორგანიზაციის ვებ-გვერდი www.iids.ge, სადაც შესაძლებელია განაცხადების შევსება და გადმოგზავნა ავტომატურ რეჟიმში;
- შეიქმნა სოციალური გვერდები ფეისბუქის, ინსტაგრამის, ტვიტერის და ლინქდინის ონ-ლაინ პლატფორმებზე
- მიმდინარეობდა მუშაობა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე:

დასახელება	ბიუჯეტი, ლარი	შინაარსი
საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა **მცირე ბიზნესის მატერიალური მხარდაჭერის ქვეპროგრამა**	**59152.98**	აფხაზეთიდან დევნილი მეწარმეების ხელშეწყობა, ეკონომიკური გაძლიერება და ამ საწარმოებში დასაქმებულ დევნილ პირთა ეკონომიკური ხელშეწყობა ***ათვისებული თანხა შეადგენს 41 660,0 ლარს***
– შპს "ელ გამა"-ს შენობის სახანძრო უსაფრთხ. სისტემით აღჭურვა და სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნების შესაბამისას მოწყობა	15 160,0	
– საოჯახო მედიცინის ცენტრი "აფხაზეთისათვის" კანალიზაციისა და წყალგაყვანილობის სისტემის მონტაჟი	21833.13	
– ი/მ ია ხარჩილავასთვის სამკერვალო ტექნიკის შეძენა	3,300	
– შპს "ჯი-დი გრუფი"-სთვის საპროფილაქტიკე ტექნიკის შეძენა (ჯამურად 20,000 ლარი)	17,410	
განათლების ხელშეწყობის პროგრამა	**13 240,0**	აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდების, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველი - მოწყვლადი პირების განათლების ხელმისაწვდომობის ზრდა. პროგრამა შედგება ორი ქვეპროგრამისაგან, მათ შორის სწავლების ფინანსური მხარდაჭერის ქვეპროგრამაზე განაცხადების მიღება დასრულდა 30 სექტემბერს და ბოლო ეტაპის გამარჯვებული სტუდენტები დაფინანსდებიან ოქტომბრის პირველ ნახევარში, ხოლო სტიპენდიების ქვეპროგრამის განაცხადების მიღება დაიწყება ოქტომბრის მეორე დეკადიდან ***ათვისებული თანხა შეადგენს 7 456,0 ლარს*** *(სწავლის დაფინანსება)*
– განათლების ხელმისაწვდომობის ზრდის ქვეპროგრამა (სწავლის დაფინანსება)	**10 240,0**	
– სტიპენდიებისა და ჯილდოების ქვეპროგრამა	**3 000,0**	
ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობის პროგრამა	**46366,48**	აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობისა და

– ავადობის პრევენცია - Covid19-თან ბრძოლისთვის სამედიცინო სახარჯი მასალების შეძენა-გადაცემა აფხაზეთის მთავრობისთვის და მედიკამენტების პროგრამა	**24 971,0**	ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდის აქტივობები და ღონისძიებები, მათ შორის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის ზრდისა და ავადობის პრევენციის ღონისძიებები. COVID19-ის პრევენციის მიზნით დევნილობაში მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების მხარდაჭერისათვის ორგანიზაციის მიერ შეძენილ იქნა ერთჯერადი გამოყენების სამედიცინო სახარჯი მასალები ***ბიუჯეტი მთლიანად იქნა ათვისებული***
დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამა	**1 000,0**	აფხაზეთიდან დევნილი პირების, განსაკუთრებით კი სოციალურად დაუცველი კატეგორიის მხარდაჭერა მათთვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით. ამ პროგრამის ფარგლებში დაკმაყოფილდა სოციალურად დაუცველი ბენეფიციარი - 6 შვილის დედა, რომელსაც შევუძინეთ და გადავეცით ავეჯი 1000 ლარის ოდენობით ***ბიუჯეტი მთლიანად იქნა ათვისებული***

2020 წლის ჯამური მონაცემები ხარჯების და პროგრამების ჭრილში:

ადმინისტრაციული ხარჯი	157,158.33
საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა	59,152.98
განათლების ხელშეწყობის პროგრამა	13,265.00
ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობის პროგრამა	46,366.48
სპორტის და კულტურის ხელშეწყობის პროგრამა	2,140.00
დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამა	1,000.00
სულ	***279,082.79***

- მოპოვებულ იქნა უფლება აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებულ პროექტებში მონაწილების მისაღებად. ფონდს მიენიჭა რეგისტრაციის ნომერი (ე.წ. SAM number). მიმდინარე ეტაპზე ფონდი გადის შესაბამის პროცედურებს ევროკავშირის გრანტების მისაღებ კონკურსში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად Pador სისტემაში;
- კვლევა აფხაზეთიდან დევნილ ქალბატონთა (მათ შორის შშმ პირთა) საჭიროებების, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, ჯანმრთელობის და ფსიქოლოგიური მდგომარეობის, შესწავლის მიზნით;
- კონსულტაციები მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის და განათლების ხელშეწყობის პროგრამის სუბსიდიარებს შორის;
- 86 პირს ჩაუტარდა სამართლებრივი კონსულტაცია და სწორი ინფორმირება საჭირო პრობლემურ საკითხებზე;
- საანგარიშო პერიოდში ფონდი, სახსრების მოძიების მიზნით, ცდილობდა საქმიანი კონტაქტების დამყარებას საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საელჩოებთან - BEARR Tsust, ევროპის ფონდი, ამერიკის საელჩოს მცირე გრანტების პროგრამა, არბაითერ-სამარიტერბუნდი საქართველო (ASB), ევროკავშირი ENPARD, ქეა ავსტრია, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), ფიფლ ინ ნიდ (PIN). მონაწილეობდა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში.

გეოლოგია

საანგარიშო პერიოდში სსიპ „აფხაზეთის გეოლოგიის და მინერალური რესურსების სააგენტოს“ სააგენტოს ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა:

- აფხაზეთის სანაპირო ზოლის ლითოდინამიკური მდგომარეობის მონიტორინგი თანამედროვე დისტანციური მეთოდებით;
- მინერალური რესურსების უკანონო მოპოვების შესახებ ინფორმაციის მოძიება არსებული მექნიზმებით;
- გეოლოგიურ ფონდებში არსებული აფხაზეთის გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური მასალების მოძიება, სისტემატიზაცია და გეოსაინფორმაციო პაკეტების მომზადება;
- აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე გარემოსდაცვითი ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და რეაგირება არსებული მექანიზმების გამოყენებით;
- დევნილთა ჩართულობის ორგანიზებულობით საჯარო და არასამთავრობო სექტორის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება;
- გარემოსდაცვითი სფეროს სხვადასხვა მიმართულობით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში და განხორციელებაში მონაწილეობის მიღება.

აფხაზეთის ტერიტორიაზე, სანაპირო ზოლის სიახლოვეს (4-7 კმ-ს დაშორებით სანაპიროს ხაზიდან) დიდი რაოდენობით ინერტული მასალის მოპოვება მიმდინარეობს (დაახლოებით 2 მლნ მ 3 წელიწადში), რაც გეოლოგიური თვალსაზრისით ძალიან ძლიერ ზემოქმედებას ახდენს შავი ზღვის აფხაზეთის მონაკვეთის სანაპირო ზოლის ლითოდინამიკურ წონასწორობაზე. სპეციალისტების მიერ დისტანციური მეთოდით ზუსტად იქნა შემოკონტურებული აბრაზიული (მორეცხილი უბნები) და აკუმულაციური (დაგროვების) უბნები. კერძოდ, ბიჭვინთის კონცხის აღმოსავლეთ სანაპირო, გუდაუთის აღმოსავლეთ სანაპირო, სოხუმის კონცხის აღმოსავლეთ სანაპირო, მდ. კელასურის შესართავიდან დასავლეთი სანაპირო და კოდორის შესართავიდან ქ. ოჩამჩირემდე. დათვლილია აბრაზიული უბნების ფართობები: ბზიფის სანაპირო ზოლი, რომლის აბრაზიამ შეადგინა 242 801 მ 2 ფართობი; გუმისთის სანაპირო – 208 420 კვ.მ. – კელასურის სანაპირო – 384 500 კვ. . – კოდორის სანაპირო – 169 200 $მ^2$ ჯამში აღსადგენმა ფართობმა, სადაც უნდა მოხდეს ხელოვნურად მასალის ჩაყრა, შეადგინა 1 004 921 $მ^2$.

სიტუაციის ზუსტად გასაანალიზებლად აუცილებელია მონიტორინგის სისტემის შექმნა უშუალოდ აფხაზეთის სანაპირო ხაზის ტერიტორიაზე, რაც გულისხმობს სხვადასხვა სახის სენსორების განლაგებას სენსიტიური უბნების ადგილებში. ამ პრობლემით უნდა დაინტერესდნენ აფხაზეთში მოღვაწე ამ დარგის სპეციალისტები, ეკოლოგები, რომლებმაც ადგილზე უნდა შექმნან მონიტორინგის მობილური სისტემა.

სამუშაო გეგმის თანახმად გეოლოგიურ ფონდებში მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე მიმზადდა მასალები გულრიფშის რაიონის მტკნარი, თერმული და მინერალური წყლების შესახებ (7 საბადო). გარემოს დაცვის სამსახური მუდმივად მონაწილეობას ღებულობს სხვადასხვა სახის აქციებში. კერძოდ:

- ➢ დედამიწის დღესთან დაკავშირებით აფხაზეთის მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეებს ჩაუტარდათ ონლაინ-სემინარი თემაზე ,,გარემო და პანდემია“;
- ➢ გარემოს სამსახურმა მონაწილეობა მიიღო ონლაინ შეხვედრაში ლენდის უნივერსიტეტის პროფესორ ტომას ლინდოვისტთან. სემინარის თემა იყო „ცირკულარული ეკონომიკა და მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება, ნარჩენების სეპარირების დანერგვა“;
- ➢ ჩატარდა დასუფთავების ყოველწლიური საერთაშორისო კამპანია ,,დავასუფთაოთ მსოფლიო“ (Clean Up the World), რომელიც დაფუძნდა 1992 წელს, გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) ინიციატივით და ემსახურება მყარი

საყოფაცხოვრებო ნარჩენებით დაბინძურებული გარემოს დასუფთავებას. აღნიშნული კამპანიის ფარგლებში სსიპ „აფხაზეთის გეოლოგიის და მინერალური რესურსების სააგენტომ“ დევნილთა კომპაქტურად ჩასახლებულ ობიექტებში განახორციელა დასუფთავების აქცია.

პროექტის „დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტებში კომპლექსური გეოეკოლოგიური კვლევების განხორციელება, გასატარებელი ღონისძიებების დასახვა და სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება“ გეოეკოლოგიური კვლევები მუშაობის ოპტიმიზაციისათვის შეიქმნა დამოუკიდებელი სასერვერო სივრცე; ტრენინგი ჩაუტარდა და გადამზადდა 14 თანამშრომელი/

შეიქმნა აფხაზეთიდან დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტების მონაცემთა ბაზა. მონაცემთა ბაზაში ასახულია 1 323 ობიექტის დასახელება, მისამართი, რეგისტრირებული ოჯახების და დევნილების რაოდენობა.

- შესწავლილ იქნა 60 ობიექტი;
- მომზადდა გეოეკოლოგიური დასკვნა;
- მომზადდა საინჟინრო დასკვნა;
- მომზადდა გეოლოგიური დასკვნა;
- შედგა დეფექტური აქტები და ხარჯთაღრიცხვა.

ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისთანავე მარტის ბოლოდან სსიპ ,,აფხაზეთის გეოლოგიის და მინერალური რესურსების სააგენტოს“ ,,დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტებში კომპლექსური გეოეკოლოგიური კვლევების განხორციელება, გასატარებელი ღონისძიებების დასახვა და სადეზინფექციო სამუშაობის ჩატარება“ პროგრამის ფარგლებში დაიწყო დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ობიექტებში სადეზინფექციო სამუშაოები. პირველ რიგში სადეზინფექციო სამუშაოები განხორციელდა დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების მაღალი რისკის მქონე ობიექტებში. ქალაქ თბილისში სადეზინფექციო სამუშაოები ჩატარდა 204 ობიექტზე, ხონში 17 ობიექტზე. საერთო ფართი 138 975 მ^2.

დევნილთა კომპაქტურად ჩასახლებულ ობიექტებში მაცხოვრებელთა მოთხოვნის შესაბამისად, სააგენტომ დაიწყო საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება.

სსიპ ,,აფხაზეთის გეოლოგიის და მინერალური რესურსების სააგენტოს“ დაკვეთით ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ შპს ,,დრ.როდგერ სერვის მენეჯმენტი“ სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება დაიწყო 18.09.2020 წელს. პირველი ეტაპი დამთავრდა 02.10.2020. სადეზინფექციო სამუშაოები ჩატარდა 1225 ობიექტში, რომელიც შეეხო 40 000 -მდე დევნილ ოჯახს. სადეზინფექციო სამუშაოების მეორე ეტაპი დაიწყება 23.10.2020 და დამთავრდა 8.11.2020წ. დამატებით ჩატარდა სადეზინფექციო სამუშაოები ქ. თბილისში და ზუგდიდში 26.11.2020წ. – 30.11.2020წ. იმ დევნილთა კომპაქტურად ჩასახლებულ ობიექტებში სადაც დაფიქსირდა ახალი კორონავირუსით დაინფექცირების ფაქტები.

- თბილისი - 611 ობიექტი;
- ქვემო-ქართლის - 60 ობიექტი;
- მცხეთა-მთიანეთი - 2 ობიექტი;
- სამცხე-ჯავახეთი - 8 ობიექტი;
- კახეთი - 4 ობიექტი;
- იმერეთი - 133 ობიექტი;
- ლეჩხუმი - 2 ობიექტი;
- სამეგრელო-ზემო სვანეთი - 392 ობიექტი;
- აჭარა - 13 ობიექტი.

პროგრამის ,,დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტებში საერთო სარგებლობის ფართების ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის გადაცემის ხელშეწყობა“ წარმოადგენს დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებში შექმნილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისთვის მათ საერთო სარგებლობაში არსებული ფართების კერძო საკუთრებაში გადაცემა. პროგრამის ფარგლებში აზომვითი ნახაზები შემდგომი რეგისტრაციის მიზნით მომზადდა 80 ობიექტზე. აქედან 22 ობიექტი მდებარეობს ქ. ბათუმში, 6 ობიექტი - ქ. ქობულეთში, 52 ობიექტი - ქ. თბილისში.